პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი | № 36 (13718) | შაბათი, 11 თებერვალი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ДИАД ТАРИГЪ ГЪИРСЕУЛИ ШЕЦЫВЕДРА •

ხალხის ნდობა — ყველაზე ღირსეულთ

ასახელებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს

გრძელდება საქართველოს სს რესპუბლიკაში უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. წინასაარჩევნო კრებებზე, რომლებიც უკვე გაიმართა, მშრომელებმა თავიანთ კანდიდატად დასახელეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მოწინავე ადამიანები.

ბაიმართა თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის კოლექტივის წინასაარჩევნო კრება, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებას მიეძღვნა.

სიტყვა ეძლევა საწარმოს დირექტორს დ. ჯაფარიძეს.

— საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს არჩევნები ყოველთვის სასიხარულო მოვლენა იყო, — თქვა მან. — განსაკუთრებული შინაარსით არის აღსავსე ახლანდელი არჩევნები: იგი საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარსუკუნოვნები იუბილეს წინ ეწყობა. ჩვენი ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის ვადამდე შეასრულოს გეგმა.

დ. ჯაფარიძის წინადადებაა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის დიმიტროვის № 69 საარჩევნო ოლქში დასახელონ მინსაბერი უბნის საუკეთესო მემანქანე **ლუსია თევდორეს ასული ვლასოვა.**

ამ წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საწარმოს პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილემ ლ. სეფიაშვილმა, შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსმა მ. ფრიდმანმა, უბნის სამანქანო განყოფილების უფროსმა ტ. იოსეფიანმა, ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ლ. ბექაურმა, ცვლის განყოფილების უფროსმა უ. კვერნაძემ, მინსაბერი უბნის მემანქანემ ი. მარტინოვმა. მათ ლ. თ. ვლასოვა დაახასიათეს როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების ურიცვი ბლოკის ღირსეული კანდიდატი.

წინასაარჩევნო კრებამ ერთსულოვნად დაადგინა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის დიმიტროვის № 69 საარჩევნო ოლქში დასახელონ **ლ. თ. ვლასოვა.**

გურჯაანი. გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობაში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრება, რომელზეც გამოვიდა კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი გ. გოგაშვილი. მან თქვა:

— ჩვენი ხალხის ტრადიციისამებრ ახალი შრომითი საქმეებით ვეგებებით დიდ პოლიტიკურ მოვლენებს. ჩვენი კოლმეურნეობის კოლექტივი უკვე შეუდგა საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებას. დღეს კი სასიამოვნო შესაძლებლობა გვიძლევა დავასახელოთ რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატები. წინადადება შემოგაქვს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.**

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირა მხარი კოლმეურნეობის ბრიგადირმა რ. ბერიაშვილმა. მისი წინადადებაა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ აგრეთვე სოფელ ჩუმლაყის ლენინის სახელობის მოწინავე კოლმეურნეობის ფეხი **მერი ხაფლის ასული ბერულაშვილი.**

კრებამ ერთსულოვნად დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახაშენის № 167 საარჩევნო ოლქში დასახელონ **ლ. ბ. ბერულაშვილი.**

თელავი. წინანდლის საბჭოთა მეურნეობა საქართველოს უდიდესი მევენახეობის მეურნეობაა. აქ გაიმართა ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება, რომელზეც მუშებმა და მოსამსახურეებმა დასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები.

სიტყვას ამბობს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გ. ბოგვალიშვილი. საბჭოთა მეურნეობის მთელი კოლექტივის სახელით მას წინადადება შემოაქვს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობას კანდიდატად დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი.** ამბ. ბოგვალიშვილმა ა. ნ. კოსიგინი დაახასიათა როგორც გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც მთელ ძალღონეს ახმარს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის აყვავებას.

ეს წინადადება ყველამ მხურვალედ მოიწონა.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი ზ. ბერიაშვილი. მან მხარი დაუჭირა ა. ნ. კოსიგინის კანდიდატურას და თავის მხრივ წინადადება წამოაყენა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა **შალვა ზაქარიას-ძე არავაძე.**

საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა ერთსულოვნად დაადგინეს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წინანდლის № 195 საარჩევნო ოლქში დასახელონ **ა. ნ. კოსიგინი** და **შ. ზ. არავაძე.**

მახარაძე. ასობით კოლმეურნე შეიკრიბა სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კულტურის სასახლეში. ისინი მოვიდნენ აქ, რომ დასახელონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები — საუკეთესონი საუკეთესოთა შორის, რომლებმაც ხალხის დიდი ნდობა დაიმსახურეს.

წინასაარჩევნო კრება გახსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილემ გ. იობაშვილმა. მან სიტყვა მისცა რესპუბლიკის წარჩინებულ მეჩაიეს სოციალისტური შრომის გმირს ტ. ჩხაიძეს.

— დღითი დღე სულ უფრო უკეთ ცხოვრობს საბჭოთა ადამიანი, — თქვა მან. — დღეს ჩვენ ვსახლეობთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს და გვჯერა ჩვენი წარმომადგენლები ყველაფერს იღონებენ, რომ საბჭოთა ადამიანის ცხოვრება კიდევ უფრო სამური გახადონ. ჩემი წინადადებაა დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნი.**

კოლმეურნე რ. ჩხაიძემ მხარი დაუჭირა ამ კანდიდატურას და წინადადება შემოიტანა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ აგრეთვე საკოლმეურნეო წარმოების შესანიშნავი ორგანიზატორი სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **მიხეილ ფილიპეს-ძე ორაგველიძე.**

წინასაარჩევნო კრებამ ერთსულოვნად მოიწონა **ნ. ვ. პოდგორნიხა** და **მ. ფ. ორაგველიძის** კანდიდატურები და დაადგინა დასახელოს ისინი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ნატანების № 289 საარჩევნო ოლქში.

გორი. წინასაარჩევნო კრება გაიმართა გორის საკონსერვო ქარხანში. პირველი გამოვიდა ქარხნის მთავარი ინჟინერი გ. ბექაური. საწარმოს კოლექტივის სახელით მას წინადადება შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ გორის ლენინის № 94 საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გენადი ივანეს-ძე ვორონოვი.**

საკონსერვო ქარხნის მთავარი საამქროს უფროსმა ვ. კაკალოვმა მხარი დაუჭირა ამ კანდიდატურას და წინადადება შემოიტანა, რომ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ საარჩევნო ოლქში დასახელონ აგრეთვე საწარმოს საუკეთესო ბრიგადირი **მარიამ გიორგის ასული უანჩიველი.**

კრებამ ერთსულოვნად დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობი კანდიდატად ქალაქ გორის ლენინის № 94 საარჩევნო ოლქში დასახელონ **გ. ი. ვორონოვი** და **მ. გ. უანჩიველი.**

ახალციხე. ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება გაიმართა ახალციხის ქვანახშირის შახტსამმართველოს № 1 შახტში.

პირველმა სიტყვა წარმოთქვა № 1 შახტის პარტორგანიზაციის მდივანმა დ. კვინიკაძემ. მისი წინადადებაა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვალეს № 112 საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომაე **გენადი ივანეს-ძე ვორონოვი.**

ამ წინადადებას მხარი დაუჭირა შახტის მოძრაობის ცვლის უფროსმა პ. გორგოძემ. მან. წინადადება შემოიტანა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ საარჩევნო ოლქში დასახელონ აგრეთვე შახტის მოწინავე მუშა **ავთანდილ სიმონის-ძე ჯვარიძე.**

კრებამ ერთსულოვნ. დ გადაწყვიტა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ვალეს № 112 საარჩევნო ოლქში დასახელონ **გ. ი. ვორონოვი** და **ა. ხ. ჯვარიძე.**

ჟოვანისი. ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშა-მოსამსახურეები შეიკრიბნენ, რათა დაესახელებინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები.

ქარხნის მთავარმა ინჟინერმა დ. ქარაგეულიშვილმა წინადადება შემოიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ორჯონიკიძის № 228 საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **არვიდ იანის-ძე პელშე.**

ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის ო. ჭოხონელიძის წინადადებაა დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ აგრეთვე საავტომობილო ქარხნის საუკეთესო ზეინკალი **იაშა გრიგოლის-ძე ჯლამაძე.**

წინასაარჩევნო კრებამ ერთსულოვნად დაადგინა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ქუთაისის ორჯონიკიძის № 228 საარჩევნო ოლქში დასახელონ **ა. ი. პელშე** და **ი. გ. ჯლამაძე.**

მარნეული. ყაჩაღნის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ კრებაზე გადაწყვიტეს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ყაჩაღნის № 146 საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **არვიდ იანის-ძე პელშე** და ყაჩაღნის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის წარჩინებული ბრიგადირი **ზიადხან ჰასან ოღლი შამილოვი.**

საბჭოთა მეურნეობის კრებამ ერთხმად დაადგინა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ყაჩაღნის № 146 საარჩევნო ოლქში დასახელონ **ა. ი. პელშე** და **ზ. ჰ. შამილოვი.**

გორი. დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ეწყობა წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები. ჩვენი ქვეყნის მშრომელები ემზადებიან ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებაში ღირსშესანიშნავ იუბილეს — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს. მუშები და კოლმეურნეები გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ ამ თარიღის აღსანიშნავად, აღუთქვამენ კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ მთელ თავიანთ ძალღონეს მოახმარენ კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებას. დეპუტატობია კანდიდატებს რომ ვასახელებთ, დარწმენებული ვართ, რომ ჩვენი რჩეულნი გაამართლებენ ამ დიდ ნდობას, — თქვა სოფელ მეჯვრისხევის არტელის წევრთა წინასაარჩევნო კრებაზე ამ სოფლის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ნ. გურგენიძემ, — ჩემი წინადადებაა დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დიმიტრი სტეფანეს-ძე პოლიანსკი.**

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირა მხარი კოლმეურნეობის ბრიგადირმა შ. გოგიაშვილმა. მან წინადადება წამოაყენა, რომ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ აგრეთვე გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობათ თავმჯდომარე **შოთა მათეს-ძე ეცადაშვილი.**

კრებამ ერთხმად დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად მეჯვრისხევის № 88 საარჩევნო ოლქში დასახელონ **დ. ხ. პოლიანსკი** და **შ. მ. ეცადაშვილი.**

ბოლნისი. სოფელ სარაჭლოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა თავიანთ კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ფახრალოს № 139 საარჩევნო ოლქში დასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მიხეილ ანდრიას-ძე სუსლოვი** და სოფელ სარაჭლოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი **ფაშა ისა ოღლი ბუსეინოვი.**

წინასაარჩევნო კრებამ დაადგინა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ფახრალოს № 139 საარჩევნო ოლქში დასახელონ **მ. ა. სუსლოვი** და **ფ. ი. ბუსეინოვი.**

ცხაკაია. ცხაკაიის ხალჩასაქმოსი კომბინატის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებია მიეძღვნა.

კომბინატის მთავარმა ინჟინერმა რ. კუპრავამ საწარმოს მთელი კოლექტივის სახელით წინადადება შემოიტანა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ცხაკაიის № 294 საარჩევნო ოლქში. დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე შელეპინი.**

ა. ნ. შელეპინის კანდიდატურას მხურვალედ დაუჭირა მხარი კომბინატის მუშამ ვ. ფრანგიშვილმა. მან თავის მხრივ წინადადება შეიტანა დეპუტატობის კანდიდატად ამ საარჩევნო ოლქში დასახელონ აგრეთვე ხალჩასაქმოსი კომბინატის მოწინავე მქსოველი **ნუნუ ივლიანეს ასული ხორავა.**

კრებამ დაადგინა, რომ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ცხაკაიის № 294 საარჩევნო ოლქში დასახელონ **ა. ნ. შელეპინი** და **ნ. ი. ხორავა.**

გუდაუთა. სოფელ დურიფშის კოლმეურნეობა „დურიფშის" წევრებმა გადაწყვიტეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ლიხნის № 343 საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე **ვიქტორ ვასილის-ძე გრიშინი** და სოფელ დურიფშის კოლმეურნეობა „დურიფშის" თავმჯდომარე **ვლადიმერ ანტონის-ძე ლაკოია.**

კოლმეურნეობის საერთო კრებამ დაადგინა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ლიხნის № 343 საარჩევნო ოლქში დასახელონ **ვ. ვ. გრიშინი** და **ვ. ა. ლაკოია.**

წყალტუბო. სოფელ გვიმბატის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში გაიმართა წინასაარჩევნო კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას.

კოლმეურნეობის წევრებმა გადაწყვიტეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად № 242 სასოფლო-საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობა კანდიდატი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე **ვიქტორ ვასილის-ძე გრიშინი** და სოფელ გვიმბატის მარქსის სახელობა კოლმეურნეობის თავმჯდომარე **შალვა ლუკას-ძე ჩაჩიძე.**

კრებამ ერთსულოვნად დაადგინა დეპუტატობის კანდიდატებად № 242 სასოფლო საარჩევნო ოლქში დასახელონ **ვ. ვ. გრიშინი** და **შ. ლ. ჩაჩიძე.**

ტყიბული. ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის დასავლეთის შახტის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე საწმენდი სანგრევის ბრიგადარმა ო. ბრეგაძემ წინადადება წამოაყენა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლენინის № 247 საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობა კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **პეტრე ნილის-ძე დემიჩევი.**

საწმენდი სანგრევის მუშამ, სოციალისტური შრომის გმირმა გ. დოლონაძემ წინადადება წამოაყენა ამავე საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ აგრეთვე ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის დასავლეთის შახტის საწმენდი სანგრევის მუშა **მამანტი ივლიანეს-ძე ლანჩავა.**

კრებამ ერთსულოვნად დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლეაი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ქალაქ ტყიბულის ლენინის № 247 საარჩევნო ოლქში დასახელონ **პ. ნ. დემიჩევი** და **მ. ი. ლანჩავა.**

ბორჯომი. ბორჯომის ჩამოსასხმელი ქარხნის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე მექანიკური ოსტატის გ. გიუაშვილმა წინადადება წამოაყენა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბორჯომის № 108 საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **პეტრე ნილის-ძე დემიჩევი.**

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირა მხარი ქარხნის ეკონომისტმა თ. კვირკაშვილმა. მან წინადადება წამოაყენა აგრეთვე დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ ამავე საარჩევნო ოლქში ბორჯომის ჩამოსასხმელი ქარხნის მოწინავე მუშა **თამარ იორდანეს ასული ქართველიშვილი.**

ბორჯომის ჩამოსასხმელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ ერთსულოვნად დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ბორჯომის № 108 საარჩევნო ოლქში დასახელონ **პ. ნ. დემიჩევი** და **თ. ი. ქართველიშვილი.**

ფოთი. ელექტრომნქანების გამაძლიერებელთა ქარხანაში გაიმართა საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება. კრების მონაწილეებმა დადაწყვიტეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ქალაქ ფოთის ორჯონიკიძის № 323 საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური

(დასასრული მე-2 გვერდზე).

კარზე საჩუქარი მოუმზადა დიდი ოქტომბრის სახელოვან 50-ე წლისთავს ქუთაისის ხ. ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის კოლექტივმა.

აქ დაიწყება ახალი ქართული მძლავრი ავტოსაწევრის „კოლხიდა-კაზ-608"-ის სერიული გამოშვება.

სურათზე: ქუთაისის ხ. ორჯონიკიძის სახელობის ავტოქარხნის მთავარი კონვეიერის კომუნისტური შრომის ბრიგადის მოწინავე ამწყობი-ზეინკალი რ. თოდუა.

ფოტო ს. კილაძისა.

სპიუბილეო ვახტაზე

სამეცნიერო დროის მოსაკოვებლად

რუსთავი. (საკ. კორ.). თბილისელი ელმავალმშენებლების ინიციატივას — გააჩაღონ ბრძოლა ხაუბილეო დროშის მოპოვებისათვის — ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა რუსთავის ფოლადკონსტრუქციების ხამმართველოს კოლექტივი. ხამმართველოს კოლექტივმა იკისრა ახალი გადიდებული ვალდებულებანი და თავგამოდებით იბრძვის მათი განაღდებისათვის.

მოწინავეთა შორის არიან ბრიგადები, რომლებსაც შ. გოგიაშვილი და დ. კაპანაძე ხელმძღვანელობენ. ისინი ყოველდღიურ ნორმებს 130-140 პროცენტით ანაღდებენ და მაღალ შრომითს ნაჩუქრებს უმზადებენ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს.

რკინიგზელთა წარმატება

ახალი ხუთწლედის დამდეგიდან სამოქალაქო ნაგებობათა ხაშურის დისტანცია ამიერკავკასიის რკინიგზის მოწინავე საწარმოთა რიგებშია. იმავე ახლიდან ამ დღეებში აქ მიიღეს გზის ხელმძღვანელობის მისალოცი დეპეშა, სადაც დისტანციის კოლექტივს ულოცავენ გასული წლის მეოთხე კვარტალში გამარჯვებას და გზის გარდამავალი წითელი დროშის მიკუთვნებას.

დისტანციის კოლექტივმა მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული 121 ათასის მაგივრად შეასრულა 140 ათასი მანეთის სამუშაო, შრომის ნაყოფიერება გაზარდა 7.5 პროცენტით, თვითღირებულება შეამცირა 13 პროცენტით, დაზოგა 5 ათასი მანეთი. საუკეთესოდ მუშაობს გ. წიკლარიშვილის კომუნისტური შრომის კომპლექსური ბრიგადა.

იანვარში დისტანციის რკინიგზელებს გეგმით უნდა შეესრულებინა 30 ათასი მანეთის სამუშაო, რაც სამი დღით ადრე გაანაღდეს.

დ. ფარემუზოვი.

მეშახტეთა სიტყვა

ახალციხის ქვანახშირის აუზის პირველი შახტის სამთოელებმა, რომლებმაც გასულ წელს ათასობით ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი მისცეს სამშობლოს, ხაუბილეო წლის პირველი თვის დავალება ვადაზე ორი დღით ადრე გაანაღდეს. როგორც ყოველთვის, პირველობას არავის უთმობენ კომუნისტური შრომის პირველი უბნის მეშახტეები. ისინი ყოველდღიურ დავალებებს 120-130 პროცენტით ასრულებენ.

დიადი თარიღის ღირსეულად გადიდებული ვალდებულებები იკისრეს შახტის მნგრეველებმა ი. ტეფნაძემ, გ. მანჯავიძემ, ნ. ლომაძემ, ვ. კოსტენკომ, ა. ხარაიშვილმა; ლავის დამკვნეტებმა ხ. თაბაგარმა, ი. კარეპინმა. ვ. ყუტიაკინმა; გამყვანებმა ი. ქინაძემ, გ. ზედგენიძემ, ვ. ბალახაძემ, ვ. გოგოლაძემ და სხვებმა.

მათი გადაწყვეტილებაა წლიური დავალება 7 ნოემბრისათვის შეასრულონ, იბრძოლონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, დახმარება გაუწიონ ჩამორჩენილ სამთოელებს, ბრიგადებსა და ცვლებს იბრძოლონ წარმოებაში ტექნიკური სიახლის დანერგვისა და მოშვირნეობისათვის.

გ. ჯიშკარიანი.

ახალციხე, № 1 შახტის უფროსი.

ეაღლი ტემპით

ბიათურა. (საკ. კორ.). რენტაბელურად მუშაობს კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც არ ანელებს გასულ წელს აღებულ ტემპს და ხუთწლედის მეორე წელსაც წარმატებით მუშაობს. მან იანვრის დავალება სამი დღით ადრე შეასრულა და მეტალურგიულ ქარხნებს ათასობით ტონა ზეგეგმითი მარგანეცი გაუგზავნა.

კალინინელები იმისათვის იბრძვიან, რომ პირველი კვარტალის დავალება 19 მარტისათვის შეასრულონ.

გადიდებული ვალდებულებანი

საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა წინაშე საიუბილეო წელს დიდი ამოცანები დგას. ჩაებნენ რა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში, წარმოების მუშაკებმა გადაწყვიტეს წლიური პროგრამა 25 დეკემბრისათვის შეასრულონ, გეგმის გადამეტებით გამოუშვან ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქცია, ზეგეგმით დაზოგონ 60 ათასი მანეთი. გათვალისწინებულია ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის, ახალ სახეობათა პროდუქციის ათვისების, საბინაო და კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ყოველივე ამაზე ილაპარაკეს რესპუბლიკის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მუშაკთა სამეურნეო-პროფკავშირული აქტივის თათბირზე.

რესპუბლიკის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მინისტრმა **ვ. ვარაზაშვილმა** გააკეთა მოხსენება „1966 სამეურნეო წლის შედეგები და დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის მზადების ამოცანები".

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **რ. ი. ფრუიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. გ. გომელაური,** სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის წევრი **ლ. როხლი.** (საკ.).

ა. ნ. კოსიგინი ინგლისში

ლონდონი, 9 თებერვალი. (საკ. ინფორ. სააგ. კორ.). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა დიდ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ჰ. ვილსონს. ა. ნ. კოსიგინმა და ჰ. ვილსონმა განაგრძეს აზრთა გაზიარება წინა შეხვედრების დროს განხილულ საკითხებზე.

ლონდონი, 9 თებერვალი. (საკ. ინფორ. სააგ. კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა დღეს გვიანგვინით შეიკრიბა „ხელოტფის" ობელისკი — ორი მსოფლიო ომის მსხვერპლთა ძეგლი.

საბჭოთა მთავრობის მეთაური და სხვა ოფიციალური პირნი საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრის ლორდ ჩალფონტის თანხლებით ნაშუადღევს მივიდნენ მთავრობის დაწესებულებათა ქუჩაზე — უაიტჰოლზე მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროო შენობასთან. იქ საბჭოთა სტუმრებს შეხვდა ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრი რ. ჯენკინსი. უაიტჰოლზე შეკრებილი მცხოვრებნი გულთბილად მიეხალმნენ ა. ნ. კოსიგინს.

ლონდონი 10 თებერვალი. (საკ. ინფორ. სააგ. კორ.). უცხოელ ჟურნალისტთა ასოციაციამ გუშინ ნაუზეზე გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის პატივსაცემად. ნაუზეზე ჟურნალისტი. ხაპატერ სტუმრებს შორის იყვნენ აგრეთვე ა. ნ. კოსიგინთან ერთად ჩამოსული ოფიციალური პირნი.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ასოციაციის პრეზიდენტმა პოლ მოლერმა.

მიესალმა რა საბჭოთა მთავრობის მეთაურს, ასოციაციის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ ა. ნ. კოსიგინი დაეთანხმა შეხვდეს მსოფლიო პრესის წარმომადგენლებს და უპასუხოს მათ კითხვებზე.

პოლ მოლერმა ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა კავშირის უდიდესი გავლენა მსოფლიოში და განსაკუთრებით ის როლი, რომელიც საბჭოთა მთავრობის მეთაურმა შეასრულა ინდოეთ-პაკისტანს კონფლიქტის მოწესრიგებაში შარ-შაშ. პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ კიდევ უფრო განმტკიცდება სსრ კავშირის თანამშრომლობა სხვა დიდ სახელმწიფოებთან მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში დაძაბულობის შენელების ინტერესებისათვის.

მოკლე სიტყვა წარმოთქვა ა. ნ. კოსიგინმა. რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

შემდეგ საბჭოთა მთავრობის მეთაურმა უპასუხა ჟურნალისტთა კითხვებზე, რომლებიც თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის პრობლემებს ეხებოდა. ა. ნ. კოსიგინის გამოხვლას და კითხვებზე პასუხს გადასცემდნენ უდიდესი რადიოკომპანიები და სატელევიზიო კომპანიები.

შეხვედრის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა უცხოელ ჟურნალისტთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნასიმ ახმატმა. ნასიმ ახმატმა მადლობა გადაუხადა ა. ნ. კოსიგინს იმისათვის, რომ ასე ბევრი დრო დაუთმო პრესის წარმომადგენლებს და უპასუხა მათს კითხვებზე. შემდეგ მან განაცხადა, რომ საჭიროდ მიაჩნია ხაზი გაუსვას, თუ რა დიდ როლს ასრულებდა საბჭოთა მთავრობა ინდოეთსა და პაკისტანს შორის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად ტაშკენტის შეხვედრის მოწყობის საქმეში. ამ შეხვ

ხალხის ნდობა—ყველაზე ღირსეულთ

(დასასრული)

კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **დიმიტრი თევდორეს-ძე უსტინოვი** და ფოთის ელექტრომანქანების გამაძლიერებელთა ქარხნის დამხვევთა ბრიგადირი **ოთარ პლატონის ასული ტაბაღუა.**

კრებამ ერთსულოვნად გადაწყვიტა დაასახელონ **დ. თ. უსტინოვი** და **თ. პ. ტაბაღუა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ქალაქ ფოთის ორჯონიკიძის № 323 საარჩევნო ოლქში.

თეთრი წყაროს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება გაიმართა თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოლის კოლმეურნეობაში.

კრებაზე გამოვიდა კოლმეურნეობის აგრონომი ნ. ჭიჭინაძე, რომელმაც წინადადება შემოიტანა დეპუტატობის კანდიდატად ასურეთის № 137 საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **დიმიტრი თევდორეს-ძე უსტინოვი.**

დ. თ. უსტინოვის კანდიდატურას მხურვალედ დაუჭირა მხარი კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ო. ყაზიშვილმა. მისი წინადადებაა დეპუტატობის კანდიდატად ამავე საარჩევნო ოლქში დაასახელონ აგრეთვე სოფელ კოდის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის წარჩინებული ბრიგადირი **აკაკი იოსების-ძე კენკებაშვილი.**

კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებამ ერთხმად დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **დეპუტატობის** კანდიდატად ასურეთის № 137 საარჩევნო ოლქში დაასახელონ **დ. თ. უსტინოვი** და **ა. ი. კენკებაშვილი.**

თბილისი. შამპანური ღვინოების ქარხნის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად პირველ №-ად საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარე **გივი შალვას ძე მიქელაძე.**

თბილისის სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანე **პავლე გიორგის ძე არევაძე** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია ქალაქ თბილისის კოჯორის № 10 საარჩევნო ოლქში.

თბილისის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს ავტომობილებელ სახელოსნოთა მოწინავე ხარატი **ელვირა ივანეს ასული რუფოვა** საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად პირველი მაისის № 18 საარჩევნო ოლქში დაასახელეს თბილისის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებმა.

„თბილისგეორგმშენის“ № 5 საგზირაბო რაზმის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის დიღმის № 14 საარჩევნო ოლქში დაასახელა **გვირაბგამყვანთა** ბრიგადირი **აკაკი პავლეს ძე ჯვარიძე.**

თბილისის № 10 ავტოსატრანსპორტო კანტორის მუშა-მოსამსახურეებმა წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ნინოწმიდის № 21 საარჩევნო ოლქში დაასახელეს მოწინავე მძღოლი **ივანე ანდრიას ძე ბოგდანოვი.**

თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივმა წინასაარჩევნო კრებაზე ერთსულოვნად გადაწყვიტა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ბარათაშვილის № 23 საარჩევნო ოლქში დაასახელოს რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრი **გრიგოლ ხილობისტროს ძე ვაშაკიძე.**

ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება გაიმართა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში. კრების მონაწილეებმა დაადგინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მარქსის № 25 საარჩევნო ოლქში დაასახელონ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ზეინკალი **ზაქრო გიგოს ძე აბრამაშვილი.**

„მთავართბილისმშენის“ კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის თბაყმიდის № 33 საარჩევნო ოლქში დაასახელა „მთავართბილისმშენის“ უფროსი **გივი სერაფიონის-ძე შენგელია.**

თბილისის წინდის ფაბრიკა „კრწანისში“ გამართულ წინასაარჩევნო კრებაზე მუშა-მოსამსახურეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის პუშკინის № 40 საარჩევნო ოლქში დაასახელონ ამ ფაბრიკის მეერავ-მოტორისტი **ლილი ნიკოლოზის ასული შურდუმოვა.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ეთერ არტემის ასული სალუქვაძე** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ვაკის № 45 საარჩევნო ოლქში დაასახელა პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ და სტუდენტებმა წინასაარჩევნო კრებაზე, რომელიც დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას მიეძღვნა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის სტუდენტთა № 46 საარჩევნო ოლქში ერთხმად დასახელეს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორჯონიკიძის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი **აკაკი გრიგოლის ძე კარანაძე.**

ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ნასაიოლის № 56 საარჩევნო ოლქში ერთხმად დასახელა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნიკოლოზ გიორგის-ძე გოგელაური.**

თბილისის ფეხსაცმელ-კომბინატის კოლექტივმა წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ბარათაშვილის № 58 საარჩევნო ოლქში ერთხმად დასახელა ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ალექსანდრე ვარლამის ძე კორშია.**

თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანების „განთიადის“ კოლექტივის კრებამ გადაწყვიტა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 62 საარჩევნო ოლქში დასახელოს გაერთიანების მწნეხავთა ბრიგადირი **ელგუჯა გიგოს ძე ბადრიძე.**

მარტყოფის მერძეურეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა წინასაარჩევნო კრებაზე დაადგინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გარდაბნის რაიონის მარტყოფის № 71 საარჩევნო ოლქში დასახელონ პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი **გიორგი ლევანის ძე ნადაშვილი.**

გარდაბანი რაიონის დიღმის მერძეურეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა გადაწყვიტა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დიღმის № 73 საარჩევნო ოლქში დასახელოს დიღმის მერძეურეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის საუკეთესო მწველავი **მარიამ გიორგის ასული ჩოხელი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გარდაბნის № 77 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად გარდაბნის მერძეურეობის საბჭოთა მეურნეობისგან დასახელებულია ამ საბჭოთა მეურნეობის მწველავი **გიულსანამ აჰმედ-ყზი ალიევა.**

კასპი ცეხების ქარხნის საყალიბებელი მანქანის უფროსი მემანქანე **ვარდენ დავითის ძე მანდოლაშვილი** ამ ქარხნის კოლექტივმა დასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კასპის № 82 საარჩევნო ოლქში.

კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის კოლმეურნეებმა წინასაარჩევნო კრებაზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახალქალაქის № 83 საარჩევნო ოლქში დასახელეს პარტიის კასპის რაიკომის პირველი მდივანი **ვლადიმერ გიორგის ძე ქერქაძე.**

ბორჩალო. რაიონის ხერკალეთის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეების წინასაარჩევნო კრებამ დეპუტატობის კანდიდატად შეაბოლოს № 87 საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე **ბორის გერასიმეს ძე გიგიბერია.**

ბორის რაიონის სოფელ კარბის მოწინავე კოლმეურნე **გურამ პატრეს-ძე ბინინაშვილი** ბორის რაიონის სოფელ კარბის პარტიული წევრებმა ტყვავაღის № 89 საარჩევნო ოლქში დასახელეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება გაიმართა აგარის შაქრის კომბინატში. კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად დაადგინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქარელის რაიონის აგარის № 99 საარჩევნო ოლქში დაასახელონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **რევაზ იაკობის ძე ფრუიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **ახალციხის** რაიონის ლენინის № 110 საარჩევნო ოლქში ახალციხის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიონული სამმართველოს კოლექტივმა დაასახელა რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის მინისტრი **ვახტანგ ალექსანდრეს ძე პაატაშვილი.**

ადიგენის რაიონის სოფელ უდეს არტელის წევრებმა წინასაარჩევნო კრებაზე გადაწყვიტეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ადიგენის № 115 საარჩევნო ოლქში დაასახელონ ამ სოფლის კოლმეურნეობის კოლმეურნე **თამარ პეტრეს ასული ბოჩიკაშვილი.**

წინასაარჩევნო კრებაზე, რომელიც გაიმართა სოფელ რუსთაველის კოლმეურნეობაში, ერთსულოვნად დაადგინა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობია კანდიდატად ასპინძის № 117 საარჩევნო ოლქში დაასახელოს საქართველოს კომპარტიის ასპინძის რაიკომის პირველი მდივანი **ლევან მიხეილის ძე ისაკაძე.**

ახალქალაქის რაიონის ვარიახის მეხოროცობა-მეოთეურეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა გადაწყვიტეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 119 სასოფლო საარჩევნო ოლქში დაასახელონ პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი **სიმონ პეტროსის-ძე აეტროსიანი.**

გაზეთ „სოვეტაკან ვოსტახის“ რედაქტორი **აკოფ არამის ძე ბლრციანი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დილისკის № 122 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ახალქალაქის რაიონის სოფელ დილისკის კოლმეურნეობის წევრებმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბოგდანოვკის № 124 საარჩევნო ოლქში სოფელ გორელოკეთი არტელის წევრებმა დაასახელეს პარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი, **ვარტ არუთინის ძე დურგარიანი.**

ამავლოს № 128 საარჩევნო ოლქში **დმანისის** რაიონის ბაშკიჩეთის სახელმწიფო ჯიშთსანაშენო ქარხნის კოლექტივმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა ბაშკიჩეთის სახელმწიფო ჯიშთსანაშენო ქარხნის ბრიგადირი **ახვერ გაჯის ძე ალიევი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წალკის № 130 საარჩევნო ოლქში წალკის ძეხორცეობა-მერძეურეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა დაასახელეს ამ საბჭოთა მეურნეობის მწველავი **ფეოდორა იაკობის ასული ავრამოვა.**

წალკის რაიონის სოფელ აშკალის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი **აგასინ გეორგის-ძე ტერუანიანი** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაის კანდიდატად ავრახლოს № 132 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამ კოლმეურნეობის მწველავები.

მხნგლისის მერძეურეობის საბჭოთა მეურნეობის-მუშებმა და მოსამსახურეებმა წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მახგლისის № 136 საარჩევნო ოლქში დაასახელეს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ალგეთის კოლმეურნეობის მწველავი **ანა დიმიტრის ასული გნსტოვა.**

ბოლნისის რაიონის სოფელ იმირასანის კალინინის სახელობის არტელის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად არახლოს № 140 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამ კოლმეურნეობის კოლმეურნე **ოთამან ასკერ-უზი ბაირამოვა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ალგეთის № 144 საარჩევნო ოლქში დასახელებულია მარნეულის რაიონის ალგეთის მერძეურეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა **სონა მუხტარ-უზი ვერდიევა.** მისი კანდიდატურა დასახელებულია ამ საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეების წინასაარჩევნო კრებაზე.

მარნეულის რაიონის სოფელ დამია-გიაურარხის კარლ მარქსის სახელობის არტელის მოწიფავე კოლმეურნე **რეიხან ასკერ-უზი ალეკბეროვა** საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად სადახლოს № 149 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე.

ასობით მუშა და მოსამსახურე შეიკრიბა **რუსთავის** მეტალურგიული ქარხნის აგლომერმედის საამქროს წინასაარჩევნო კრებაზე. მათ თავიანთი დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ რუსთავის ვაჟაფშაველას № 150 საარჩევნო ოლქში დასახელეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი **სოლომონ ავთანდილის ძე შარაძე-ნიძე.**

პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ლუდუკი სიმონის ძე ხარბედია** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლენინის № 152 საარჩევნო ოლქში დასახელა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ.

№ 3 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ რუსთავის კომკავშირის № 154 საარჩევნო ოლქში დასახელეს რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **რუსუდან ალექსანდრეს ასული ჯაფარიძე.**

ამერიკაკავკასიის „მეტალურგმშენის“ ტრესტის „მეტალურგმშენის“ სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ რუსთავის მეტალურგმშენის“ ტრესტის „მეტალურგმშენის“ სამშენებლო სამმართველოს მეარმატურეთა ბრიგადირი **ვასილ დიმიტრის ძე გვოზდიკოვი.**

დუშეთის რაიონის სოფელ ანაგვისპირის კოლმეურნეობაში გაიმართა კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დუშეთის № 158 საარჩევნო ოლქში. კრების მონაწილეებმა თავიანთი კანდიდატად დასახელეს „სატრესტის“ მმართველი **ალექსი სიმონის ძე ბეკაური.**

დუშეთის რაიონის სოფელ მაღაროსკარის კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს ჩვენი რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ყიფიანის № 161 საარჩევნო ოლქში თავის წარმომადგენლად გგზავნონ ამ კოლმეურნეობის მოწინავე მწყემსი **სოლომონ ხევისბერის ძე ნარიმანიშვილი.**

სოფელ თიანეთის კოლმეურნეობაში გამართულმა წინასაარჩევნო კრებაზე დაადგინა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თიანეთის № 162 საარჩევნო ოლქში დასახელონ პარტიის თიანეთის რაიკომის პირველი მდივანი **ნიკოლოზ მიხეილის ძე მგელიაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **მიხეილ მიხეილის ძე ლელაშვილი** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვეჯინის № 168 საარჩევნო ოლქში დასახელეს გურჯაანის რაიონის სოფელ ტეჯინის კოლმეურნეობის წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა.

გაიმართა **საბარეჯოს** რაიონის სოფელ კაკაბეთის XXI პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრება. კრებამ დაადგინა ძახვის № 172 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ ამ არტელის კოლმეურნე **ზინაიდა ალექსანდრეს ასული ოქრომჯელიშვილი.**

სიღნაღის № 16 სამკერვალო ფაბრიკაში გამართულმა წინასაარჩევნო კრებამ ერთსულოვნად დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ № 175 საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი **იოსებ ელიოზის-ძე ნონეშვილი.**

პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი **დიმიტრი ლევანის-ძე გელაშვილი** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წნორის № 178 საარჩევნო ოლქში დასახელეს წნორის მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა.

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი **თენგიზ გიორგის-ძე იაკობაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 180 საარჩევნო ოლქში დასახელეს ამ კოლმეურნეობის წევრებმა.

ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება გაიმართა ლაგოდეხის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანაში. კრების მონაწილეებმა დაადგინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლაგოდეხის № 184 საარჩევნო ოლქში დასახელეს ნინელა ბერიკაშვილი და **ალექსანდრეს ასული ჯაფარიძე.**

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ნინიგორის არტელ „მეგობრობის“ კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვარდისუბნის № 195 საარჩევნო ოლქში დასახელა ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე **იორდანე სოლომონის-ძე აბრამაშვილი.**

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანის ენგელსის სახელობის არტელის წევრთა წინასაარჩევნო კრებამ ერთხმად დაადგინა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლელიანის № 188 საარჩევნო ოლქში დასახელონ პარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი **ვახტანგ ვასილის-ძე უნგიაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახალსოფლის № 189 საარჩევნო ოლქში დასახელეს პარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი **გივი იასეს-ძე ზაუტაშვილი.** მისი კანდიდატურა დასახელეს წინასაარჩევნო კრებაზე ახალსოფლის ლენინის სახელობის არტელის წევრებმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი კრება გაიმართა თელავის მარმარილო-ფიქალის კომბინატში. კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს თავიანთ დეპუტატობის კანდიდატად ნადიკვარის № 194 საარჩევნო ოლქში დასახელონ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **მიტროფანე იონას-ძე კუჭავა.**

ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე ერთსულოვნად გადაწყვიტეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ნაფარეულის № 198 საარჩევნო ოლქში დასახელონ ნაფარეულის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ზიზი სოლომონის-ძე ხოლუაშვილი.**

პარტიის **ახმეტის** რაიკომის პირველი მდივანი **ალექსი გიორგის-ძე ბატიაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქისტაურის № 202 საარჩევნო ოლქში დასახელეს ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის კოლმეურნეობის წევრებმა.

ორჯონიკიძის რაიონის მარელისის გრეხილი ალეჯის ფაბრიკის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მოღათის № 204 საარჩევნო ოლქში დასახელა ამ ფაბრიკის მოწინავე მუშაკი **ეუფუნა დავითის ასული ლომსაძე.**

პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი **შოთა პარმენის-ძე ჯოგლიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კიცხის № 206 საარჩევნო ოლქში დასახელეს ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცხის არტელის წევრებმა.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ასობით მუშა-მოსამსახურე შეიკრიბა წინასაარჩევნო კრებაზე. რათა დაესახელებინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლენინის № 207 საარჩევნო ოლქში. კრების მონაწილეებმა ერთხმად დაადგინეს თავიანთ კანდიდატად დასახელონ უფროსი მდნობელი — № 1 საღნობი საამქროს ბრიგადირი **ზურაბ ვიქტორის-ძე ბუცხრიკიძე.**

ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კოლექტივმა ერთსულოვნად დასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გორკის № 208 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზინაიდა არსენის ასული კვაჭაძე.**

ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებამ ერთსულოვნად დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ძირულის № 211 საარჩევნო ოლქში დასახელონ სოფელ ფუთის ალეკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ციალა ლეონტის ასული გელაშვილი.**

საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორის წერეთლის სახელობის არტელის წევრთა საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საჩხერის № 220 საარჩევნო ოლქში დასახელოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მთავარი სწავლული მდივანი **სერგი ვასილის-ძე დურმიშიძე.**

საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა წინასაარჩევნო კრებაზე ერთხმად გადაწყვიტეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საირის № 221 საარჩევნო ოლქში დასახელონ ამ საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა **ანა იასონის ასული კაკანაძე.**

სოფელ თერჯოლის ლენინის სახელობის არტელის კოლექტივმა წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თერჯოლის № 224 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დასახელა ამ კოლმეურნეობის ბრიგადირი **ვალერიან ილარიონის-ძე ნემსაძე.**

სოფელ ზედა საზანოს 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საზანოს № 226 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დასახელა საქართველოს სსრ კანმრთელობის დაცვის მინისტრი **ლევან აბოს-ძე საყვარელიძე.**

ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკაში გაიმართა წინასაარჩევნო კრება. კრების მონაწილეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლუსელიძის № 231 საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **სერგი სილიბისტროს-ძე ხიხარულიძე.**

ქუთაისის ლითოფონის ქარხნის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წერეთლის № 234 საარჩევნო ოლქში დასახელა ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **უჩა ფოკას-ძე ცქვიტინიძე.**

ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წულუკიძის № 238 საარჩევნო ოლქში დასახელოს ამ საწარმოს მუშა **მზიალა ტიტიკოს ასული ხვანძე.**

წყალტუბოს სანატორიუმ „მეგობრობაში“ გამართულ წინასაარჩევნო კრებაზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 241 საქალაქო საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიონალ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **მიხეილ თეოფანეს-ძე ჩიხლაძე.**

წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მაღლაკის № 243 საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ერმალო მინას-ძე ჯაფარიძე.**

წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვიტირის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქვიტირის № 245 საარჩევნო ოლქში დასახელონ საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს რაიკომის პირველი მდივანი **გივი გიორგის-ძე ვაშაძე.**

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ოქტომბრის № 248 საარჩევნო ოლქში დასახელა საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **კარლო მელიტონის-ძე ლომაძე.**

სოფელ საწირის კოლმეურნეობის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საწირის № 249 საარჩევნო ოლქში დასახელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე **იური ივანეს-ძე ჭედიშვილი.**

ქალაქ ტყიბულის სოფელ ოჯოლის კოლმეურნეობაში გაიმართა წინასაარჩევნო კრება, რომელზეც რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ორპირის № 250 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დასახელეს ამ არტელის მეჩაიე **ცაცა პარმენის ასული ჩუბინიძე.**

დაბა ცაგერის კოლმეურნეობა „პროგრესის“ წევრთა საერთო კრებამ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ცაგერის № 257 საარჩევნო ოლქში დადაწყვიტა დასახელოს ცაგერის რაიონის სოფელ ჭიედა ცაგერის კოლმეურნეობის კოლმეურნე **გოგუცა სევერიანის ასული ბენდელიანი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **ვანის** № 269 საარჩევნო ოლქში დაბა ვანის რუსთაველის სახელობის არტელის წევრებმა დასახელეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოსი მდივანი **მიხეილ ნიკოლოზის-ძე სიბაშვილი.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის. პროპაგანდის განყოფილების გამგე **შალვა ალექსანდრეს-ძე სალარიძე** ერთსულოვნად დასახელა დაბა მაიაკოვსკის არტელის წევრთა საერთო კრებამ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მაიაკოვსკის № 273 საარჩევნო ოლქში.

გაიმართა **მაიაკოვსკის** რაიონის ხოფელ წითელტბევის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის წინასაარჩევნო კრება. კრებამ ერთსულოვნად დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წითელტბევის № 275 საარჩევნო ოლქში დასახელოს პარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველი მდივანი **პლატონ სილიონის ძე აბესაძე.**

ჩოხატაურის რაიონის სოფელ განახლების ლენინის სახელობის არტელის წევრებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩოხატაურის № 276 საარჩევნო ოლქში ერთხმად დასახელეს სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე **ლამარა უშანგის ასული ჩხიკვაძე.**

ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის მუშებისა და მოსამსახურეების წინასაარჩევნო კრებამ დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლანჩხუთის № 279 საარჩევნო ოლქში დასახელოს „საქართველოს ჩაის“ ტრესტის მმართველი **ოთარ გრიგოლის ძე აბესაძე.**

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სუფსის № 282 საარჩევნო ოლქში დასახელა საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი **დავით ხარიტონის ძე ხაბაშვილი.**

საბჭოთა კავშირის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ ერთხმად გადაწყვიტა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **მახარაძის** რაიონის № 283 პირველ საარჩევნო ოლქში დასახელოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზაალ ბესარიონის-ძე გელდიაშვილი.**

მახარაძის ა

ა. ნ. კოსიგინის გამოსვლა

ინგლისელ და უცხოელ ჟურნალისტთა წინაშე

ლონდონი, 10 თებერვალი. (საკადესი). 9 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა განცხადება გააკეთა უცხოელ ჟურნალისტთა ასოციაციაში და უპასუხა ინგლისელ და უცხოელ კორესპონდენტთა კითხვებზე.

ქიხდა მადლობა გადაგიხადოთ, რომ მომიწვიეთ საერთაშორისო პრესის წარმომადგენელთა ესოდენ ავტორიტეტულ კრებაზე. მე სიამოვნებით ვისარგებლე ამ მოწვევით იმისათვის, რომ შეგხვედროდით და გამეცნო თქვენთვის ჩვენი თვალსაზრისი საკითხებზე, რომლებიც საბჭოთა მთავრობის, ჩვენი ხალხისა და მთელი მსოფლიოს ხალხების ყურადღების ცენტრშია.

მსოფლიოში მეტად რთული ამბები მიმდინარეობს და ამასთან დაკავშირებით წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა, რა თქმა უნდა, ადვილი არ არის. ეს ამბები მსოფლიოს ხალხთა შეფფოთებას იწვევს, ისინი დიდად აინტერესებს მსოფლიო საზოგადოებრიობას და ალბათ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ დღეს აქ პრესის ესოდენ ბევრი წარმომადგენელი შეიკრიბა.

ამბებისათვის, რომლებიც ახლა ხდება მსოფლიოში, ასე თუ ისე პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახელმწიფოთა მთავრობებს. მაგრამ თქვენც, პრესის წარმომადგენლებს, რომელთა ხმას ყურს უგდებს ძალიერ ბევრი ადამიანი, აკისია ეკისრებთ გარკვეული პასუხისმგებლობა, რადგან პრესა დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. ამიტომ მინდა, რომ მსოფლიო პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი საკითხების აქ განხილისას ერთად ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას პრესაში მათი გაშუქებისათვის.

როცა წარმოებს ომი ვიეტნამში, როცა ბევრი სახელმწიფოს საძმებრო ბიუჯეტები იზრდება, როცა ისეთი ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, 75 მილიარდ დოლარს აღწევს წელიწადში და ადამატება იმ თანხებს, რომლებსაც სამხედრო მიზნებისათვის გამოიყოფდნენ მეორე მსოფლიო ომის წლებში, ყოველივე ეს არ შეიძლება მსოფლიოს ყველა ადამიანის შეშფოთებას არ იწვევდეს.

ჩვენი ვიზიტი დიდ ბრიტანეთში შესაძლებლობას გვაძლევს ვესაუბროთ პრემიერ-მინისტრ ჰ. ვილსონს, დიდი ბრიტანეთის მთავრობის მინისტრებს მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე, რომლებიც აინტერესებს ჩვენს ორივე ქვეყანას, აინტერესებს მთელ მსოფლიოს. სწორედ ამას ვაკეთებთ ამ დღეებში. ჩვენ განვიხილავთ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებს, ერთმანეთს ვუზიარებთ აზრებს საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ორმხრივ ურთიერთობას როგორც პოლიტიკის, ისე ეკონომიკის დარგში.

ჩვენი დღევანდელი კრების პატივცემულმა თავმჯდომარემ მითხრა, რომ შემოსულა ბევრი კითხვა, რომლებზეც პასუხის მიღება სურთ პრესის წარმომადგენლებს. მათ შორის არის კითხვა, თუ რამდენად დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს პრობლემების განხილვა დიდი ბრიტანეთის მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად. უნდა ვთქვა, რომ ამ სტადიაზე ჩვენი საუბრები, ჩემი აზრით, დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. თუ თქვენ გსურთ მიიღოთ უფრო დაწერილებითი პასუხი, აგრეთვე პასუხი იმ შედეგების შესახებ, რომლებსაც მოლაპარაკების დროს შეიძენ მივალენით, ამაზე წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ეს შეიძლება ითქვას მაშინ, როცა დავამთავრებთ სკა-ბაასს და შევათანხმებთ შესაბამის საბოლოო დოკუმენტს, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს ეა ნუსხადების ან კომუნიკეს ფორმით.

შემიძლია განვაგრძო შესავალი სიტყვა, მაგრამ რაც უფრო მეტს ვილაპარაკებ, მით უფრო ნაკლები დრო დაგვრჩება კითხვებზე პასუხისისთვის. ამიტომ სჯობს შევუდგე პასუხის გაცემას თქვენს კითხვებზე.

შემდეგ ა. ნ. კოსიგინმა უპასუხა ინგლისსა და უცხოეთის პრესის წარმომადგენელთა კითხვებზე.

გაზეთ „სანდი მირორის“ კორესპონდენტი: მიგაჩნიათ თუ არა, რომ ინგლისს შესწევა „საერთო ბაზარში“ სასარგებლო ან საზიანო იქნება ევროპის ეკონომიკის განვითარებისა და ევროპის უშიშროებისათვის?

ა. ნ. კოსიგინი: ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა ასეთი კითხვა მიგეცათ ბატონ ვილსონისათვის. იგი უფრო ზუსტად გიპასუხებდათ ამაზე. მაგრამ თუ გსურთ იცოდეთ ჩემი აზრი, უნდა ვთქვა, რომ თვითონ სახელწოდება — „საერთო ბაზარი“ ზუსტი არ არის. „საერთოს“ ვერ ვუწოდებთ, რადგან მასში არ შედის ბევრი სახელმწიფო. საერთო მაშინ იქნებოდა, ეკონომის ყველა ქვეყანა რომ შედიოდეს ამ ბაზარში და ერთად თანამშრომლობდნენ ვაჭრობის დარგში. დასშული ბაზრები სარგებლობას ვერ მოუტანენ ევროპას. ამიტომ უნდა იყოს ისეთი ბაზრები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემენ ევროპის ყველა სახელმწიფოს თანაბარ საწყისებზე.

„უოლ-სტრიტ ჯორნელის“ კორესპონდენტი: გსურთ თუ არა თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, განავითაროთ ტექნიკური თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და არა მარტო დასავლეთ ევროპასთან?

ა. ნ. კოსიგინი: ჩვენი აზრით, ტექნიკური თანამშრომლობა, ისევე როგორც ვაჭრობა, საერთო საქმე უნდა იყოს, რომელშიც უნდა მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირიც, ევროპის სხვა ქვეყნებიც. ამერიკის შეერთებული შტატებიც. ჩვენ ასეთი თანამშრომლობის მომხრე ვართ. მაგრამ ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ვერ ხერხდება ასეთი თანამშრომლობა შექმნილ გარემოებათა გამო. ასეთი თანამშრომლობა რომ შესაძლებელი გახდეს, ჩვენ, რა თქმა უნდა, მოხარული ვიქნებოდით და ვეფიქრობთ, რომ იგი სარგებლობას მოუტანდა ყველას. მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებსაც.

მაგრამ ამავე დროს მინდა ვთქვა, რომ ახლა დასავლეთის ზოგიერთი ეკონომისტის ისეთი აზრები, თითქოს ევროპის ქვეყნების ტექნიკური განვითარების დონე „ჩამორჩებოდეს“ ამერიკის შეერთებული შტატების დონეს. მე მგონია, ეს სრულიად მცდარი აზრია, რომელიც არ ემყარება ფაქტებს და არ ითვალისწინებს ევროპის ეკონომიური განვითარების მონაცემებსა და პოტენციურ შესაძლებლობებს — ბუნებრივ, ადამიანთა შესაძლებლობებს, აქ დაგროვებულ გამოცდილებასა და ცოდნას. მეცნიერებისა და ტექნიკის, საინჟინრო საქმის დარგში ევროპა, რა თქმა უნდა, თანასწორი პარტნიორია, და ვფიქრობ, რომ ბევრ შემთხვევაში მას შეუძლია წინაც იყოს მეტად დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური და ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში

დიდი ბრიტანეთის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენელი: იზიარებთ თუ არა იმ აზრს, რომ საბჭოთა რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის განვითარება ახალი ნაბიჯია გამალებული შეიარაღების გზაზე?

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტოს კორესპონდენტი: მიგაჩნიათ თუ არა, რომ შესაძლებელია შეთანხმება რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების განვითარების მორატორიუმის შესახებ, და თუ შესაძლებელია, რა პირობებში?

ა. ნ. კოსიგინი: ეს დიდმნიშვნელოვანი საკითხია სამხედრო დარგში. არ მინდა ამ კითხვაზე პირდაპირ ვუპასუხო და, ჩემი მხრივ, მინდა ამ კითხვის ავტორს — ის კი, როგორც გავიგე, ინგლისის სტატეგიული კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენელი ყოფილა, შევეკითხო შემდეგზე: როგორი იარაღი უნდა მივიჩნიოთ დაძაბულობის ფაქტორად — შეტევითი თუ თავდაცვითი? ვფიქრობ, რომ თავდაცვითი სისტემები, რომლებიც აღკვეთენ თავდასხმას, გამალებული შეიარაღების მიზეზი კი არა, არამედ ის ფაქტორია, რომელიც ადამიანებს თავიდან აშორებს დაღუპვას, ზოგნი ასე მსჯელობენ: რა უფრო იაფია — გვქონდეს შეტევითი იარაღი, რომელსაც შეუძლია მოსპოს ქალაქები და მთელი სახელმწიფოები, თუ გვქონდეს თავდაცვითი იარაღი, რომელიც თავიდან აგვაცილებს ამ განადგურებას. აქვამად ზოგან გავრცელებულია თეორიები, უნდა შევიმეშაოთ სისტემა, რომელიც უფრო იაფიაო. ასეთი „თეორეტიკოსები“ დავიბეგ ამაზეც, რა ღირს ადამიანის მოკვლა — 500 ათასი დოლარი თუ 100 ათასი დოლარი. იქნება, რაკეტასაწინააღმდეგო სისტემა უფრო ძვირია, ვიდრე შეტევითი, მაგრამ იგი გაანკუთვნილია არა ადამიანთა დასახოცავად, არამედ ადამიანთა სიცოცხლის შესანარჩუნებლად. მე მესმის, რომ პასუხს ვერ ვცემ იმ კითხვაზე, რომელიც მოძცეს, მაგრამ თქვენ თვითონვე გამოიტანეთ შესაბამისი დასკვნები.

უშიშროების პრობლემის გადასაწყვეტად არის სხვა გზები, გაცილებით უფრო სანაქებო გზები, რომლებიც ნამდვილად ხელსაყრელი იქნებოდა კაცობრიობისათვის. თქვენ იცით, — ჩვენ მხარს ვუჭერთ ომს, რომ საერთოდ აიკრძალოს ატომური შეიარაღება და მოისპოს ატომური იარაღის მარაგი. ჩვენ ამისათვის მზად ვართ, ამასთან არა იმიტომ, რომ ჩვენ ასეთი იარაღი ცოტა გვაქვს, არამედ სწორედ იმიტომ, რომ ბევრი გვაქვს ასეთი იარაღი, კაცობრიობას კი ატომური იარაღი არა სჭირდება. და პრესის წარმომადგენლები, ისინი, ვინც ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა გონებაზე, საკითხს სწორედ ასეთი მიმართულებით რომ ამუქცენდნენ, მაშინ ვგონებ, შედეგები გაცილებით მეტი იქნებოდა, ვიდრე ლაპარაკი, როგორი იარაღია უფრო იაფი — შეტევითი თუ თავდაცვითი. ყველაფერს აჯობებს ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ აიკრძალოს ატომური შეიარაღება და მოისპოს ატომური იარაღი. ბევრი იტყვის, ეს რთული საკითხია, მისი გადაჭრა შეუძლებელიაო და სხვ. სწორია, ეს მარტივი საკითხი როდია, მაგრამ კაცობრობამ უნდა გადაწყვიტოს იგი. თუ ამას ვერ გადაწყვეტთ ჩვენს საუკუნეში, უნდა გადაწყდეს შემდეგ საუკუნეში და რაც უფრო დიდხანს დარჩება ეს საკითხი გადაუჭრელი, მით უარესი კაცობრობისათვის.

დასავლეთ გერმანიის ეუურნალ „დერ შპიგელის“ კორესპონდენტი:

პირველი, მოსალოდნელია თუ არა, რომ ახლო ხანში დადოს ხელშეკრულება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ და, მეორე, არის თუ არა დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოზიციაა?

ა. ნ. კოსიგინი: ჩვენ მხარს ვუჭერთ ატომური იარაღის გაუვრცელებლობას და მიგვაჩნია, რომ დადგა დრო, როცა უნდა აიკრძალოს ასეთი იარაღის შემდგომი გავრცელება. ასეთი პოზიცია გვიჭერავს არა იმიტომ, რომ გვეშინია, ვაი თუ ამ დარაგში ახალი კონკურენტები გაგვიჩნდნენო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კაცობრობას, თუ მას სურს კვლავაც არსებობდეს, ატომური იარაღი არა სჭირდება. გაუვრცელებლობის შესახებ საკითხის განხილვის მსვლელობა მოწმობს, რომ შესაძლებელია უახლოეს ხანში გადაწყდეს ეს საკითხი. რაც შეეხება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, უნდა ვთქვა, რომ მიუხედავად იმისა, სურს მას ეს თუ არა სურს, იგი უნდა შეუერთდეს ხელშეკრულებას გაუვრცელებლობის შესახებ. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ატომური იარაღი ჰქონდეს, და ყველა ზომას მივიღებთ, რომ მას შესაძლებლობა არ მიეცეს ხელი იგდოს ეს იარაღი. ამას ვაცხადებდ მთელი სიმტკიცით.

ბერლინ გაზეთ „დერ ბუნდესა“ და დასავლეთ გერმანიის გაზეთ „რაინიშერ მერკურის“ წარმომადგენელი:

დასავლეთ გერმანიის მთავრობის რა მოქმედება შეიძლება ჩაითვალოს კონკრეტულ და დადებით დადასტურებად თქმისა, რომ ბონი გულწრფელად ესწრაფვის ევროპაში მშვიდობასა და უშიშროებას?

ა. ნ. კოსიგინი. ჩვენ ვითვალისწინებთ ამას, რომ მეორე მსოფლიო ომის შედეგები არ შეიძლება გადაისინჯოს. რევანშიზმის იდეები საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას. ჩვენებურად ასე ვიტყოდი: ეს იდეები უნდა დავასამაროთ. რევანშის იდეების განხორციელების ცდა ომის მოგმასვაებელი იქნებოდა; ეს კარგად იცან ევროპის ყველა ქვეყანამ, მათ შორის გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ. მაგრამ ამავე დროს ევროპაში შექმნილი საზღვრების გადასინჯვა არ მოხდება. ამიტომ ძნელი არ არის გავიგოთ, თუ რა წვლილ შეიტანდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მშვიდობისა და ევროპის უშიშროების გაძლიერების საქმეში. ამ ქვეყნის მმართველმა წრეებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა თქვან უარი რევანშისტულ აზრებზე, დაიფიწყონ იმაზე ფიქრი, რომ შეიძლება ამ აზრების განხორციელება. მათ უარი უნდა თქვან იმ აზრზე, რომ დასავლეთი გერმანია ოღესმე მიიღებს ატომურ იარაღს. იგი ატომურ იარაღს ვერ მიიღებს. გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ უნდა შეიგნოს, რომ ევროპაში არსებული საზღვრები ურყევია. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რეალისტური პოზიცია ამ საკითხებში დიდი წვლილი იქნებოდა ევროპისა და არა მარტო ევროპის, არამედ მთელი მსოფლიოს დაძაბულობის შენელებაში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აღრე თუ გვიან იძულებული გახდება აღიაროს ევროპაში შექმნილი რეალური ვითარება. ამის ვერსად ვერ წაუვა.

დასავლეთ გერმანიის გაზეთ „ფრანკფურტერ რუნდშაუს“ კორესპონდენტი:

მიგაჩნიათ თუ არა, ბატონო პრემიერ-მინისტრო, რომ დასავლეთ გერმანიისა და რუმინეთის შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია?

ა. ნ. კოსიგინი: ვფიქრობ, რომ ამ კითხვაზე პასუხს უკეთ გასცემდნენ რუმინელის ხელმძღვანელები. დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება იმ სახელმწიფოთა საქმეა, რომლებიც ასეთ გადაწყვეტილებას ღებულებენ.

რაც შეეხება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ურთიერთობის საერთო საკითხებს, ამ საკითხში ჩვენი თვალსაზრისი უცვლელია: ჩვენ მიგვაჩნია და მიგვაჩნია, რომ ყოველი შეთანხმება, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან იდება, უნდა ითვალისწინებდეს ამას, რომ დასავლეთ ბერლინს საერთო არა აქვს რა ფედერაციულ რესპუბლიკასთან, რომ ევროპის ომისშემდგომი საზღვრები უცვლელია, რომ არსებობს გერმანის დემოკრატიული რესპუბლიკა — სუვერენული სახელმწიფო, რომ პოტსდამის შეთანხმებანი, რომლებსაც ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირმა, აშერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, ზუსტად უნდა იქნას დაცული.

ამასთან დაკავშირებით მინდა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო იმას, რომ საზოგადოებრივმა აზრმა და პრესამ თავის მხრივ ზემოქმედება უნდა მოახდინონ მთავრობებზე, რათა არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს ყველა სახელმწიფო ასრულებდეს. არ შეიძლება საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და ვალდებულებებს ასე მოექცე: დღეს ხელი მოაწერო, ხვალ კი ხაზი გადაუსვა. ხელშეკრულებათა შეურყევლობის პრინციპების დარღვევა ქაოსს გამოიწვევდა საერთაშორისო ურთიერთობაში. ეს ეხება იმ შეთანხმებასაც, რომელიც ხელმოწერილ იქნა პოტსდამში: ვიმეორებ, ამ შეთანხმებას ზუსტად უნდა ასრულებდნენ ის ქვეყნები, რომლებსაც ეს ეხება. ჩვენ ამ თვალსაზრისს ვადგავართ და განუხრელად განვახორციელებთ მას.

დასავლეთ გერმანიის გაზეთ „ფრანკფურტერ ალგემაინეს“ კორესპონდენტი: მ თებერვალს გალდჰოლში წარმოთქმულ სიტყვაში თქვენ, ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეკ, ლაპარაკობდით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის გაძლიერის ზრდაზე. ხომ არ ფიქრობთ, რომ დასავლეთ გერმანიაში მნიშვნელოვნად მეტია იმ გერმანელთა რიცხვი, რომლებიც მხარს უჭერენ დემოკრატიულ პარტიებს, ვიდრე იმათი რიცხვი, ვინც ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას უჭერს მხარს?

ა. ნ. კოსიგინი: კონკრეტულად ვერ გეტყვით, რამდენი ადამიანი უჭერს მხარს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ნეოფაშისტურ პარტიას. ვფიქრობ, რომ დასავლეთ გერმანიის გაზეთის წარმომადგენელმა უკეთ უნდა იცოდეს პოლიტიკური ძალების თანაფარდობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

გუშინ მე ვთქვი და ახლაც მინდა გავიმეოროო, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შესამჩნევია ნეოფაშისტური პარტიის ზრდა. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს პროცესი, სამწუხაროდ, ვითარდება და რომ ნეოფაშისტები ზედიზედ იკავებენ პოზიციებს. გიახსენეთ, რომ ოციან წლებში ჰიტლერს მიუხნენის ლუდხანაში სულ ორმოცდაათამდე თანამოაზრე ჰყავდა. ხოლო რა მოხდა შემდეგ? გაჩნდა ჰიტლერის ფაშისტური პარტია, რომელმაც კატასტროფამდე მიიყვანა მსოფლიო.

ჩვენ არ გვინდა, რომ ეს გამეორდეს, და არ დაუშვებთ ამას. საბჭოთა კავშირი სხვა სახელმწიფოებთან ერთად, რომელთათვის ჟანრფასია ევროპის უშიშროებისა და ევროპაში მშვიდობის საქმე, იბრძოლებს დასავლეთ გერმანიაში ფაფიზმის აღორძინების წინააღმდეგ. ამას გავაკეთებთ მთელი ძალებით, რომლებიც კი მოგვეპოვება. ვფიქრობ, რომ ყველა ჩვენმა მოკავშირემ ანტიჰიტლერულ კოალიციაში, ყველამ, ვინც ხელი მოაწერა პოტსდამის შეთანხმებას, უნდა იბრძოლოს ფაშიზმის აღორძინების წინააღმდეგ.

ის, რასაც მე ახლა ვამბობ, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდობლობით ეკიდებით დასავლეთ გერმანიის მთელ ხალხს. ჩვენ ვიცნობთ გერმანიის შესანიშნავ მუშათა კლასს, შესანიშნავ გერმანელ რევოლუციონერებს, რომლებსაც ბევრი რამ გოუკეთებიათ პროგრესის, დემოკრატიისა და რევოლუციის საქმისათვის. მათ ყოველთვის ვაფასებდით და კვლავაც დავაფასებთ. ჩვენ დიდ პატივს ვცემთ დასავლეთ გერმანიის ყველა ადამიანს, რომლებიც მამაცურად იბრძვიან რევანშიზმისა და ფაშიზმის აღორძინების წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენს ხალხს სძულს გერმანიის ფაშიზმი, და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არ დაუშვას მისი აღორძინება. ვფიქრობ, რომ ეს საერთო მიზანია ყველასი, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა. იმედი მაქვს, რომ ამ აზრს აქ დამსწრენიც იზიარებენ. ეს თვით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის ინტერესებსაც შეეხამება.

გაზეთ „მორნინგ სტარის“ კორესპონდენტი: გაუმჯობესდა თუ არა თქვენი ვიზიტის შედეგად ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის პერსპექტივები?

ა. ნ. კოსიგინი: რასაკვირველია, ამ ბოლო დღეების კონტაქტები, მხარეთა თვალსაზრისის გარკვევა — ყოველივე ეს ხელს უწყობს მეტი ნდობის წარმოშობას, ვგეხმარება უფრო ღრმად გავიჭაღაკვეთ საკითხებში, რომლებიც გვთიშავენ თუ გვაერთიანებენ. ამ თვალსაზრისით, კონტაქტები, რომლებიც ლონდონში მოხდა, სასარგებლოა, და ჩვენი სურვილია, რომ მათ ხელი შეუწყონ ევროპაში დაძაბულობის შენელების საქმეს.

ინგლისის სატელევიზიო კომპანია „ინდეპენდენტ ტელევიუნის“ წარმომადგენელი: რაშდენად სერიოზულია, თქვენი აზრით, ჩინეთის ამბები და რა გაგვეგებ ამ ამბებზე ისინი საბჭოთა პოლიტიკაზე?

ა. ნ. კოსიგინი: თქვენ კარგად იცით, რომ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა გაძაბულია. ამას მოწმობენ, კერძოდ, ამ ბოლო დროის ამბები. მე უნდა ვთქვა, რომ ჩვენ დიდი პატივისცემით ეკიდებით დიდ ჩინელ ხალხს, ჩინეთის კომუნისტურ პარტიას. ჩვენ გვინდოდა, რომ ჩვენი ურთიერთობა ჩინეთთან კარგი ყოფილიყო და ჩვენი მხრივ ყოველი ღონისძიებით ვცდილობდით მიგვეღწია ამ მიზნისათვის. ის, რაც ახლა ხდება, როგორც ჩანს, ახასიათებს ბრძოლას შიგ ჩინეთში, რაც დაკავშირებულია იმ მარცხთან, რომელიც საშინაო და საგარეო პოლიტიკაში განიცადეს, და იმის ცდებთან, რომ თავი დაიღწიონ შექმნილ მდგომარეობის საგარეოპოლიტიკური ურთიერთობის გართულების გზით. ხოლო თუ ჩვენი ურთიერთობის მომავალს შევეხებით, კიდევ ერთხელ უნდა ვთქვა, რომ ჩვენი სურვილია მისი გაუმჯობესება.

დასავლეთ გერმანიის „შპრინგერ ფორინ ნიუს სერვისის“ საგენტოს წარმომადგენელი: როგორ გგონიათ, შესაძლებელია თუ არა მომავალში ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობის სრული გაწყვეტა ან შეიარაღებული კონფლიქტიც კი?

ა. ნ. კოსიგინი: რაც შეეხება შეიარაღებული კონფლიქტის შესაძლებლობას, მე ვერ ვხედავ მიზეზებს ასეთი კონფლიქტისათვის. კითხვაზე ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ, უნდა გიპასუხოთ, რომ ჩვენ გვსურს მისი შენარჩუნება, და ჩვენი მხრივ ვეცდებით ამას, რასაკვირველია, იმ პირობით, თუ მეორე მხარე დაიცავს საერთაშორისო კანონებსა და ნორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დიპლომატიურ წარმომადგენელთა უფლებებს. თუ იგი გააკეთებს ამას, რასაც მოგალეა აკეთებდეს ჩვენი დიპლომატიური მუშაკების საქმიანობის ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად, ჩვენ, რასაკვირველია, არ მივეცემთ რაიმე საბაბს, დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტისათვის.

შემდეგ თავმჯდომარე ამბობს, რომ შემოსულია ბევრი შეკითხვა ვიეტნამის თაობაზე და, კერძოდ, ასეთი შეკითხვა: მზად არის თუ არა საბჭოთა კავშირი შეუერთდეს დიდი ბრიტანეთის წინადადებას ჟენევის თანთბირის მოწვევის შესახებ?

ა. ნ. კოსიგინი: მინდა მოგახსენოთ შემდეგი. დღეს და გუშინ ლონდონის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ტასმანიაში მომხდარი ხანძრების ფოტოსურათები. და როცა უცქერით ამ ფოტოსურათებს, თქვენ იზიარებთ იმ ადამიანთა მწუხარებას, რომლებსაც ესოდენ დიდი უბედურება დაატყდათ თავს. მაგრამ ლონდონის გაზეთებში რომ შეიძლებოდეს დაინახოთ ყველა ის უბედურების, ნგრევის, ხანძრების ფოტოსურათები, რაც ვიეტნამში ხდება, დაინახოთ ვიეტნამის დანგრეული ქალაქებისა და სოფლების ფოტოსურათები, ეს უთუოდ აღგიძრავდათ სურვილს მიიღოთ ზომები, რომ გზა გადაეღობოს აგრესიას.

გუშინ რატუშაში გამოსვლის დროს მე დაწვრილებით შევეხე ვიეტნამის საკითხს და არ მინდა ნათქვამი გავიმეორო. მინდა მხოლოდ აღვნიშნო ერთი გარემოება, რომელიც საჭიროა გავითვალისწინოთ, — მხედველობაში მაქვს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება, რომელიც მან ერთ-ერთ აფსტრალიელ ჟურნალისტთან საუბარში გააკეთა. ამ ინტერვიუში მან გამოთქვა წინადადება, რომლის არსი შემდეგია: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უსაფუძვლოდ უნდა შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა, მაშინ შესაძლებელი იქნება მიეცეს ხელი მოლაპარაკების მაგიდას, რათა გამოვიძებოთ ვიეტნამის პრობლემის პოლიტიკური გადაჭრის გზები.

ჩვენ სავსებით ეუფლოდებით ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ გამოთქმული აზრის და მიგვაჩნია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა ისარგებლონ მით. ეს მეტად კარგი კონსტრუქციული წინადადებაა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს შესაძლებლობას აძლევს თავი დააღწიონ ჩიხს, რომელშიც ახლა იმყოფებიან. ვფიქრობ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელები უნდა გამოეხმაურონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ გამოთქმულ წინადადებას. ჩვენ სავსებით ეუფლოთ ამ მხრივ ბევრი ფაქტორი, ნგრევა, ხანძრები ფოტოსურათები, რაც ვიეტნამში ხდება, დაინახოთ ვიეტნამის დანგრეული ქალაქებისა და სოფლების ფოტოსურათები, ეს უთუოდ აღგიძრავდათ სურვილს მიიღოთ ზომები, რომ გზა გადაეღობოს აგრესიას.

გუშინ რატუშაში გამოსვლის დროს მე დაწვრილებით შევეხე ვიეტნამის საკითხს და არ მინდა ნათქვამი გავიმეორო. მინდა მხოლოდ აღვნიშნო ერთი გარემოება, რომელიც საჭიროა გავითვალისწინოთ, — მხედველობაში მაქვს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება, რომელიც მან ერთ-ერთ აფსტრალიელ ჟურნალისტთან საუბარში გააკეთა. ამ ინტერვიუში მან გამოთქვა წინადადება, რომლის არსი შემდეგია: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უსაფუძვლოდ უნდა შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა, მაშინ შესაძლებელი იქნება მიეცეს ხელი მოლაპარაკების მაგიდას, რათა გამოვიძებოთ ვიეტნამის პრობლემის პოლიტიკური გადაჭრის გზები.

ჩვენ სავსებით ეუფლოდებით ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ გამოთქმული აზრის და მიგვაჩნია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა ისარგებლონ მით. ეს მეტად კარგი კონსტრუქციული წინადადებაა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს შესაძლებლობას აძლევს თავი დააღწიონ ჩიხს, რომელშიც ახლა იმყოფებიან. ვფიქრობ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელები უნდა გამოეხმაურონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ გამოთქმულ წინადადებას. ჩვენ სავსებით ეუფლოთ რა ბევრი ფაქტორი ამ მხრივ ბევრია დაზიანების დარღვევის შემთხვევებში.

რაც შეეხება ვიეტნამის პრობლემის გადაჭრის პერსპექტივებს. მე მათ ვხედავ იმ კონკრეტულ წინადადებებში, რომლებიც გამოთქვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ინტერვიუში. ვფიქრობ, ეს შესაფერისი შემთხვევაა, რომ დაიწყოს ამ პრობლემის განხილვა უშუალოდ ვიეტნამისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს შორის.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

9 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს გადასცა შემდეგი შინაარსის ნოტა:

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის დავალებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს უცხადებს შემდეგს:

უკვე რამდენიმე კვირაა სსრ კავშირის პეკინის საელჩოსა და სხვა საბჭოთა დაწესებულებებისა და წარმომადგენლობების გარშემო შექმნილია ორგანიზებული აღვირახსნილობისა და ველური ხულიგნური თავგზაგაყვანილობის შეუწყნარებელი ვითარება. ფეხქვეშ თელავენ რა საერთაშორისო სამართლისა და მორალის ელემენტარულ ნორმებს, რომ აღარაფერი ვთქვათ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობაზე, ჩინეთის ხელისუფალნი აღვივებენ საბჭოთა კავშირისადმი, ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტიისადმი მტრობისა და სიძულვილის სამარცხვინო კამპანიას, ურიგდებიან და აქეზებენ ყოველივე იმის სისტემატურ ბინძურ შეურაცხყოფას, რაც ძვირფასი და წმიდათა წმიდაა საბჭოთა ხალხისათვის. გრძელდება უხამსი გამოხდომები იმ საბჭოთა ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნების მოგალეთას ასრულებენ პეკინში. საქმე იქამდე მივიდა, რომ აბუჩად იგდებენ და ფიზიკური ძალმომრეობის აქტებს მიმართავენ საბჭოთა დიპლომატების, ქალებისა და ბავშვების, საბჭოთა თანამშრომლების ოჯახების წევრების წინააღმდეგ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ყოველივე ეს კანონიერ აღსშფოთებას იწვევს საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოში.

მტკიცედ იცავს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელმძღვანელობის პრინციპულ ხაზს — ჩვენს ქვეყნებს შორის ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნების, საბჭოთა ხალხსა და ჩინელ ხალხს შორის მეგობრობის დიადი საქმის დაცვის ბაზს, და განუხრელად ხელმძღვანელობს რა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მაღალი პრინციპებით, საბჭოთა მთავრობა ისევე, როგორც ყველა საბჭოთა

ტურისტული მატარებლით—გალი-თბილისი

ხურათზე: გალელი სტუმრების ერთი ჯგუფი თბილისში ვაგზლის მოედანზე. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

თბილისის რკინიგზის ვაგზალი თითქმის ყოველდღიურად იღებს ძვირფას სტუმრებს სხვადასხვა რაიონიდან. ამჯერად, 10 თებერვალს თბილისელები სტუმართმოყვარულად შეეგებნენ გალის რაიონის მშრომელებს, რომლებიც ტურისტულმა მატარებელმა „შოთა რუსთაველმა“ ჩამოიყვანა. სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს პარტიული, საბჭოთა, ხაზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, თანამემამულეებმა. გალელებმა კარგად გამოიყენეს თბილი, მზიანი დღე და გულდასმით დაათვალიერეს დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები და დიდად კმაყოფილნი გვიან საღამოს დაბრუნდნენ შინ.

აღაქმიანები ქვნიან დოვლათს

დიდ სიხარულს განიცდიან გალის რაიონიდან ჩამოსული დელეგაციის წევრები, რომლებსაც გულთბილად დახვდა დედაქალაქი. გალელებმა დაათვალიერეს თბილისის ისტორიული ადგილები, ახალი დასახლებული უბნები, კვარტლები, მშენებელი ახალი თუ ძველი პროსპექტები, ქუჩები. დედაქალაქის სიმაყე — მეტროპოლიტენი.

მაგრამ გალელი მშრომელებიც აქ მოვიდნენ მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში მობოვებული შესანიშნაი მაჩვენებლებით. მათ მოჰყავთ ჩაი, სიმინდი, ციტრუსები. დაფნა, ტუნგო, ეთერზეთოვანი კულტურები. ახლო მომავალში, ენგურჰესის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, ჩვენი რაიონი გადაიქცევა ერთ-ერთ მძლავრ ენერგეტიკულ ცენტრად.

შარშან სასახელოდ იშრომეს რაიონის მეჩაიეებმა და სამშობლოს მისცეს 18.606 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოფოლი ნაცვლად 17.075 ტონისა. ეს კი 5.000 ტონით აღემატება 1965 წლის მაჩვენებელს. გადაბარებული არის შესრულებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. რაიონის მშრომელთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ამ საიუბილეო წელს ახალი წარმატებები მოიპოვონ: სახელმწიფოს მიჰყიდონ 18.500 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები 1 ნოემბრამდე შეასრულონ.

ამ წარმატებათა მოპოვებაში დიდი წვლილი შეაქვთ რაიონის ათასობით მოწინავე ადამიანს, სოციალისტური შრომის გმირებს, შრომის ვეტერანებს. მათ შორის არიან: სკკპ წევრი 1918 წლიდან **ავქსენტი გაბელაია**, მეჩაიეები — **ზოია ბულიხკერია**, **ციალა ყოლბაია**, **თინა გოგობია**, **ზოია გერგედავა**, **ლუსია გამსახურდია**; მესიმინდეები — **სახელმწიფო პრემიის ლაურეატი**, სოციალისტური შრომის გმირი **ჩოქლი ქვაჩახია**, **ტ. აბუბაია**, **ი. ხარჩილავა**, **მ. გულუა** და სხვები. რაიონის მშრომელები კვლავაც სასახელოდ იშრომებენ სახალხო დოვლათის შექმნისათვის, ახალი წარმატებებით შეხვდებიან დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს.

სიმამაცე და თავგანწირვა

უვარელი, (საკ. კორ.). ჭიკაანის კოლმეურნეობის ბუხმალტერიაში მოინგარიშეები დილიდან გვიან ღამემდე ციფრებს ჩაკერკეტებდნენ. წლიური ანგარიშის შედგენას ჩქარობდნენ. მუშობით გართულებმა ვერ შეამჩნიეს როგორ ჩაქრა ელენა. მოლარემ მ. რაჯაბაშვილმა, რომელიც კანტორაში შევიდა, ღუმელში შეაწყო, თუნუქის ბალონით ნავთი შეასხა და ასანთი გაკრა. ღუმელიდან ალი გამოვარდა. ჯერ ნავთის ჭურჭელს სწვდა, შემდეგ კი მოლარეს. ელენა მოედო იატაკს, კარადებს. მოანგარიშეები ვერ ბედავდნენ, მაგრამ შიგ შესვლა ვერ გაბედეს. კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა მიხეილ კენელაშვილმა, რომელიც პირველი შევიდა კანტორაში, ჯალტო იძრო და მოლარეს ტანზე შემოახვია. ამხანაგის გადარჩენის შემდეგ იგი ოთახში შევარდა და ხანძარს შეება. მას კვალდაკვალ ამხანაგები მიჰყვებოდნენ. მამაცი ადამიანები ერთ საათზე მეტ ხანს ებრძოდნენ ელენას. მათმა თავგანწირვამ ხანძარი გაიუნებლა. სტიქიას გადაურჩა კოლმეურნეობის ოფისთუალური კანტორა, სოფლის მაღაზია და სხვა საზოგადოებრივი ნაგებობანი.

3. ეზუგბაია,
პარტიის გალის რაიკომის მეორე მდივანი, დელეგაციის ხელმძღვანელი.

ბელნიერი ბილეთები

⊙ **თელავი.** (საკ. კორ.). თელავის აბრეშუმის ხახელექციო სადგურის თანამშრომელმა დავით ვასილის-ძე ახვერდოვმა შემნახველ სალაროში წარადგინა რსფსრ ფულისა და ნივთების ლატარიის 1966 წლის დამტკიცებითი (საახალწლო) გამოშვების ბილეთი (№ 079, სერია 42146), რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

⊙ **ჟუთაისი.** (საკ. კორ.). ბელნიერი ბილეთის მფლობელი ალმოჩნდა ჟუთაისში მცხოვრები საზკვების მუშაკი ბ. ს. სვანიძე. მან შემნახველ სალაროში წარადგინა სსრ კავშირის დოსაფის ავტომოტოლატარიის 41 თანრიგის № 488747 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „ვოლგა“.

სატელეფონო ქაქვირი გაალვილდა

თელავი. (საკ. კორ.). თბილისთან ტელეფონით დასაკავშირებლად თელაველებს საათობით უსდებოდათ ლოდინი. არსებული ორი არხი მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. ახლახან თელავში დამთავრდა რამდენიმე არხიანი საქალაქთაშორისო ტელეფონის გამაძლიერებლის მონტაჟი. თბილისთან ახლა მეგრი სატელეფონო არხი მუშაობს. მათ შორის ორი პირდაპირია. თელაველი ტელეფონისტი თვითონ კრეფს თბილისის სატელეფონო ჭელის სასურველ ნომერს.

ორდენები და მედლები 20 წლის შემდეგ

ამას წინათ ზენტაფონში მცხოვრებ მოქალაქეებს, დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, რაიონის მთავარი ექიმის მოადგილეს კ. რობაქიძეს, არგვეთის ღვინის ქარხანათა სამმართველოს ბუხმალტერს შ. მაჭავარიანს, პენსიონერებს მ. ზაქარაიას, შ. მაბათაძეს და სხვებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში, გადაეცათ საბრძოლო ორდენები და მედლები.

ა. ფოცხვერაშვილი

ფართოვდება საერაჭრო ურთიერთობა

მოსკოვი, 9 თებერვალი. (საკდესი). წარმატებითი მოლაპარაკების შედეგად დღეს მოსკოვში ხელი მოაწერეს ოქმს 1967-1968 წლების საქონელბრუნვის შესახებ სსრ კავშირსა და თურქეთს შორის. ეს ოქმი ითვალისწინებს საქონლის ურთიერთ მიწოდების მოცულობის შემდგომ გადიდებასა და ნომენკლატურის გაფართოებას.

საბჭოთა კავშირი თურქეთში გაიტანს სხვადასხვა მანქანასა და მოწყობილობას, მათ შორის ჩარხებს, დიზელისა და ბენზინის ძრავებს, ამწე-სატრანსპორტო და მიწასათხრელ მოწყობილობას, ცემენტს, ნავთობპროდუქტებს, მედიკამენტებს, მცენარეულ ზეთს, ფოტოაპარატებს, საათებს, კინომოწყობილობასა და სხვა საქონელს.

თურქეთიდან სსრ კავშირი შემოიტანს მატყლს, ტყავის ნედლეულს, ბამბას, ციტრუსებს, ჩირსა და კაკალს, სახორაკე პირუტყვს და თურქეთის ეკსპორტის სხვა ტრადიციულ საქონელს, აგრეთვე ეროვნული მრეწველობის ზოგიერთ ნაწარმს — ტრიკოტაჟს, ფეხსაცმელს, ბამბეულისა და შალის ქსოვილებს.

ამერიკის გაზეთის აზრი

ნიუ-იორკი, 10 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის გავლენიანი გაზეთი „უორლდ ჯორნელ ტრიბიუნი“ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მოუწოდებს განუსაზღვრელი ვადით შეწყვიტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა.

ამერიკის სავიეტნამო პოლიტიკის უველა საზღვარგარეთელი კრიტიკოსი, აღნიშნულია გაზეთის სარედაქციო სტატიაში, აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილება ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვის შეწყვეტის შესახებ შეიძლება მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყების საფუძველი გახდეს. გაზეთი იზიარებს ამ აზრს.

ბაღის ხანძარი ტასმანიაში

კანბერა, 9 თებერვალი. (საკდესი). ტყის ხანძარი, რომელიც ტასმანიის დედაქალაქ ხობარტსა და ტუნძულის სამხრეთ ნაწილს ათობით სხვა ქალაქს მოედო, ისევ გრძელდება. გადაიბუგა 12 პატარა ქალაქი და დასახლებული პუნქტი, მოისპო რამდენიმე ქარხანა ღა ფაბრიკა. თვით ხობარტში დაიწვა 9 სიფოსტო განყოფილება, რამდენიმე სკოლა, სამედიცინო დაწესებულება, ასობით ავტომანქანა, ტროლეიბუსი, გადაიხრუკა ათასობით ჰექტარი ყანა, ბოსტანი და ბაღი.

მიწისძვრა კოლუმბიაში

ნიუ-იორკი, 10 თებერვალი. (საკდესი). ძლიერი მიწისძვრა მოხდა გუშინ კოლუმბიაში, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო. წინასწარი ცნობებით არის მსხვერპლი, 7-ბალიანი (რიხტერის სკალით) მიწისძვრის ცენტრი, კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტიდან 200 კილომეტრზე იყო. მიწისძვრის დროს, რომელიც თითქმის მთელ კოლუმბიაში იგრძნობოდა, დაირღვა სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი.

საერთაშორისო ხელვრცელა

სამშვიდობო განცხადება

ლონდონი, 10 თებერვალი. (საკდესი). **განცხადებაში, რომელიც გუშინ საღამოს გამოქვეყნდა ლონდონში, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურმა კომიტეტმა მოუწოდა ინგლისის მთავრობას მხარი დაუჭიროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მოწოდებას, რომ ამერიკის ავიაციამ შეწყვიტოს ვიეტნამის დაბომბვა.**

„ვიეტნამის მშვიდობის აღდგენის საქმეში, ნათქვამია განცხადებაში, მნიშვნელოვანი წვლილი იქნებოდა, თუ ბატონი ჯონსონი შეუუერთდება ა. ნ. კოსიგინის მოწოდებას.

არუშის დეკლარაციის მხარდასაჭერად

დარ-ეს-სალამი, 9 თებერვალი. (საკდესი). აი უკვე მეხუთე დღეა დიდი ერიამულია ტანზანიის დედაქალაქში. არმია, პოლიცია, ეროვნული სამსახურის ორგანიზაცია, ტანგანიკის აფრიკელთა ეროვნული კავშირის ახალგაზრდობის ლიგა და ტანზანიელი ქალების კავშირი ამ დღეებში მასობრივ მანიფესტაციებსა და მიტინგებს აწყობენ არუშის დეკლარაციის მხარდასაჭერად, რომელმაც გამოაცხადა, რომ ტანზანიაში იწყება სოციალიზმის მშენებლობა.

დღეს ნაშუადღევს ქალაქის ქუჩებში გამოვიდა ტანზანიის დედაქალაქის მუშათა კლასი. ტანზანიის მშრომელთა ეროვნული კავშირის წევრებმა დარ-ეს-სალამის ქუჩებში ჩაიარეს ლოზუნგებით, რომლებითაც მხარს უჭერენ დეკლარაციას. ისევე როგორც წინა დღეებში, ტანგანიკის აფრიკელთა ეროვნული კავშირის პარტიის მთავარი ბინის შენობასთან გაიმართა მასობრივი მიტინგი.

დანვრილებით „სან-კარლოსის“ საპატიმროდან გაქცევის შესახებ

კარაკასი, 9 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი სერვანდო გარსია პონსე იუწყება:

ხელისუფლები ამაოდ ეძებენ სამ ყოფილ პარლამენტარს, ვენესუელის კომპარტიის თვალსაჩინო ხელმძღვანელებს, რომლებიც „სან-კარლოსის“ საპატიმროდან გაიქცნენ.

პომპეიო მარკესი, გალიერმო გარსია პონსე და ტეოდორო პეტკოფი საპატიმროდან გაიქცნენ მიწისქვეშა გასასვლელით, რომლის სიგრძე 45 მეტრი იყო, სიმაღლე კი 80 სანტიმეტრი. იგი საპატიმროს უერთდებოდა შენობიდან, რომელიც ციხის გარეთაა. საიდუმლოდ გათხრილი გვირაბი იწყებოდა შენობის ქვედა სართულში არსებულ საწყობში. საწყობი ეკუთვნის არაპ მოქალაქეს, რომელსაც ორი კაცის დახმარებით გაუყვანია მიწისქვეშა გასასვლელი. ისინი რამდენიმე დღეღამის განმავლობაში მუშაობდნენ და მიწა ტომრებით გამოჰქონდათ, ვითომ თქვილი იყო. გვირაბის შესასვლელს აფარებული ჰქონდა ლოდი, რომელზეც ქაღალდით სავსე ყუთები ეწყო.

საპატიმროდან გაქცევამ ვენესუელის საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. გაზეთები ამ ამბავს უძღვნიან ერცელ მასალებს, ბეჭდავენ ფოტოსურათებს. გაზეთების ცნობებში დაწვრილებით არის გაშუქებული გაქცევის ამბავი. პრესა ხაზს უსვამს, რომ კომუნისტებმა შეძლეს გაეცურებინათ ვენესუელის ერთ-ერთი ყველაზე კარგად დაცული ციხის ზედამხედველები. ახლა ჩხრეკენ ციხე-სიმაგრის ახლომახლო სახლებს, ქალაქგარეთ მიმავალ ავტომანქანებს. პოლიცია გულმოდგინედ ეძებს გაქცეულთ აგრეთვე კარაკასის სხვადასხვა რაიონსა და სხვა ქალაქებში.

ჯარეგის რიცხვი

ნიუ-იორკი, 9 თებერვალი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამში განლაგებული ამერიკის ჯარების რიცხვმა 5 თებერვლისათვის შეადგინა 410.000, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს ამერიკის სარდლობის განცხადებას.

ჯაფუფური თავდასხმები

კანი, 10 თებერვალი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომ გუშინ ამერიკის თვითმფრინავები კვლავ რამდენჯერმე შეიჭრნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში. მათ ჯაშუშური და პროვოკაციული თავდასხმები განახორციელეს კუანგვინის, ჰატინის, ნგეანის, თხან ჰოის, შონლის პროვინციებში, აგრეთვე ვინლინის რაიონში.

მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალების აღშფოთებას იწვევს ბინძური ომი, რომელსაც ამერიკელი აგრესორები ეწევიან ვიეტნამში.

ამ დღეებში იტალია კიდევ ერთი საპროტესტო დემონსტრაციის მოწმე გახდა. ქალაქ მილანის რამდენიმე ათასი მცხოვრები ქუჩებში გამოვიდა, მათ მოჰქონდათ ტრანსპარანტები, ლოზუნგები, რომლებზეც ეწერა: „შეაჩერეთ ომი“, „შეწყდეს აგრესია“, „მშვიდობა ვიეტნამს“.

სურათზე: საპროტესტო დემონსტრაცია მილანში.

ფოტო პუბლიფოტო-საკდესისა.

ვესვენება დასკვნის ტრიბუნა

კაუნასში უმაღლესი ლიგის კალათბურთელთა კოლექტივებმა დაამთავრეს ზამთრის ტურნირის პირველი ეტაპი. როგორც მოსალოდნელი იყო, წარმატება სსრ კავშირის ქალთა და ვაჟთა ნაკრებ გუნდებს ხვდათ, მათ არც ერთი მატჩი არ წაუგიათ.

უკანასკნელი ტურის მატჩებიდან საინტერესო გამოდგა კაუნასის „პოლიტექნიკისა“ და მოსკოვის „დინამოს“ ქალთა გუნდების შეხვედრა. ძირითად დროში ანგარიში იყო 65:65. დამატებით დროში კაუნასელებმა შეძლეს მატჩის მოგება ერთი ქულით 79:78. „პოლიტექნიკის“ გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა.

ვაჟთა გუნდებს შორის რიგის ვეფმა დაამარცხა ლენინგრადის „სპარტაკი“ 58:55 და მეორე ადგილზე გამოვიდა, სამ-სამი ქულა მოაგროვეს არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და რიგის არმიის სასპორტო კლუბის გუნდებმა.

შეხვედრების შემდეგ 22 თებერვალს ქალთა გუნდები ლენინგრადში, ვაჟთა გუნდები — კიევში გამართავენ დასკვნითს შეხვედრებს.

ცსკა-ს ქრონიკიდან

მოსკოვში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ჩოგბურთის სასახლეში ამოიწურა ზამთრის ტურნირის გუნდური შეჯიბრება ჩოგბურთში.

ექვსი უძლიერესი კოლექტივიდან ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს მოსკოვისა და ესტონეთის ჩოგბურთელებმა. ეს მატჩი შედგა 9 თებერვალს. მოსკოველები აქაც მეტოქეზე ძლიერნი აღმოჩნდნენ. მათ თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და დაამარცხეს ჭოწინააღმდეგე 6:1.

ამრიგად, ზამთრის ტურნირში გაიმარჯვა მოსკოვის ჩოგბურთელთა კოლექტივმა. გუნდის კაპიტანმა ა. დმიტრიევამ განაცხადა: ეს ჩვენი მეორე გამარჯვებაა. დედაქალაქის გუნდის წარმატებაში თვალსაჩინო როლი შეასრულეს ახალგაზრდებმა. ამ პოზიციებს არც სპარტაკიადაზე დავთმობთ.

მეორე ადგილზე გამოვიდა ესტონეთის გუნდი. მესამე ადგილისათვის პაექრობა ჰქონდათ საქართველოსა და უკრაინის გუნდებს. გაიმარჯვეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა 5:2 და საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

დღეს მოსკოვიდან სტოკჰოლმში მიემგზავრება მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. ჩვენი კორესპონდენტი ეწვია მას და ესაუბრა მომავალ გეგმებზე.

რაზე მიემგზავრებით სტოკჰოლმში?

მე მომიწია სტოკჰოლმის საქადრაკო კლუბმა, რომელიც თავისი არსებობის 50 წლისთავს ზეიმობს. დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს გამოჩენილი მოჭადრაკეები როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. გავმართავთ ერთდროული თამაშის სეანსებს, წავიკითხავთ ლექციებს.

თქვენი უახლოესი შეჯიბრება 8 მარტისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო ტურნირი იქნება, რომელიც ბელგრადში გაიმართება. რა არის ცნობილი მისი მონაწილეების შესახებ?

აი ცნობა, რომელიც ბელგრადიდან მივიღე. ასპარეზობაში გათვალისწინებულია 16 ოსტატის მონაწილეობა — აქედან 8 უცხოელია და 8 იუგოსლავი. უცხოელთა შორის არიან **ასენოვა** (ბულგარეთი), **ერეტოვა** (ჩეხოსლოვაკია), **ნოვარა** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), **ბილეკნე** (უნგრეთი), **ნიკოლაუ** (რუმინეთი), **ჰეიესსერკი** (პოლონეთი) **მე** და **ზატულოვსკაია**, იუგოსლავები — **ლაზარევიჩი**, **ნედელკოვიჩი**, **ოიანოვიჩი**, **შტადლერი**, **კონრკოვსკასოკოლოვა**, **ლილიაკი**, **ბელამარიჩი** და **ოიციჩ-ეიკოვიჩი**. შესაძლებელია ასპარეზობაში ჩაებას **ნ. ალექსანდრიაც**. ეს მისთვის სასურველი იქნებოდა, რადგან საჭირო ნანას აკლიმატიზაცია იუგოსლავიაში პრეტენდენტთა დიდი პაექრობის წინ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ხომ თავისი ასაკის გამო ჯერ არ ყოფილა უცხოეთში. ამასთან ნანას ამ ტურნირში შეხვედრა მოუხდება პრეტენდენტთა მომავალი ტურნირის მ ონაწილესთან, ეს გამოცდილება კი დიდად გამოადგება სექტემბერ-ოქტომბერში, როდესაც იგი ქ. პორტოროაში (იუგოსლავია) დაიწყებს ბრძოლას მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეებთან.

ბელგრადის ტურნირის შემადგენლობა მეტად ძლიერია. მე შარშან ვთამაშობდი ამავე ასპარეზობაში, სადაც I-II ადგილები გავიყავი ნიკოლაუსთან, III-IV ადგილები კი ლაზარევიჩსა და იოციჩ-ეიკოვიჩს დარჩათ. ეჯვგარეშეა, წლევანდელი ტურნირის შემადგენლობა უფრო ძლიერია.

კიდევ რომელ შეჯიბრებაშია გათვალისწინებული თქვენი მონაწილეობა?

როგორც საკავშირო საქადრაკო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ, ოსტატმა **ლ. აბრამოვმა** მაცნობა. 22 მაისს კიევში იწყება დიდი საერთაშორისო ტურნირი ქალთა შორის. აქ გათვალისწინებულია ჩემი და საბჭოთა კავშირის უძლიერესი მოჭადრაკეების — **ალექსანდრიას**, **ზატულოვსკაიას**, **კუშნირის**, **კოზლოვსკაიას** და **კისლოვას** მონაწილეობა. უცხოეთიდან კი მოიწვევენ მხოლოდ ყველაზე ძლიერ ოსტატებს, მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტებს.

ერთი „უხერხული“ კითხვაც — ვინ გაიმარჯვებს პრეტენდენტთა ტურნირში ქალთა შორის?

ეს მარტო „უხერხული“ კი არა, მეტად ძნელი კითხვაც არის. მე მას ხშირად მაძლევენ. უპირატესობას ვანიჭებ საბჭოთა მონაწილეების ხუთეულს, უცხოელთაგან კი ორს — **ნიკოლაუსა** და **ლაზარევიჩს**. ისე კი, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

ჩამოთვალეთ შეჯიბრებით ამოიწურება თქვენი წლიური „პროგრამა“?

— არა. სექტემბერში ინგლისში მივემგზავრები. სადაც ორ საერთაშორისო ტურნირში მივიღებ მონაწილეობას. ჩემი მეტოქეები იქნებიან ინგლისისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ოსტატი ვაჟები.

საკავშირო ჩემპიონატში თუ მიიღებთ მონაწილეობას?

შესაძლოა, თუ კი ძლიერ არ დავიღალე შემოდგომისათვის. საქმე ის არის, რომ მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ ძალიან ბევრ მიწევდეს ვიღებ უცხოეთის საერთაშორისო ტურნირებში სათამაშოდ, შეჯიბრება შეჯიბრებას მოსდევს, და ამის გამო მხოლოდ ერთხელ, თბილისში 1964 წელს მოვახერხე ქალთა საკავშირო ჩემპიონატში თამაში. როგორც ბედავთ, კალენდარი წელსაც ფრიად დატვირთულია.

დანარჩენ გეგმებზე რას გვეტყვით?

ამჟამად ვწერ წიგნს გროსმაისტერ დ. **ბრონშტეინთან** ერთად. იგი ეძღვნება ამ დღეებში თბილისში დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატს. ჩვენ გავარჩევთ რჩეულ პარტიებს. ვამზადებ ჩემი რჩეული პარტიების კრებულსაც.

ნონა გაფრინდაშვილი: კალენდარი ფრიად დაგვირთულია

ბრენოგლის თეთრ ტრასაზე

მომავალი ზამთრის ოლიმპიადის მონაწილე სპორტსმენები განაგრძობენ პაექრობას გრენობლში (საფრანგეთი).

გუშინ პაექრობა ჰქონდათ მოთხილამურე ქალებს 5 კილომეტრის გადარბენაში. მოხდა იშვიათი შემთხვევა — ორმა სპორტსმენმა აჩვენა თანაბარი დრო. ესენი იყვნენ მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი ა. **ბოიარსკიხი** (სსრ კავშირი) და **კრისტინ სტოეკა** (ბულგარეთი). მსაჯთა კოლეგიამ ორივეს პირველი ადგილი მიანიჭა. მომდევნო ადგილები თანმიმდევრობით დაიკავეს ა. **კოლჩინამ**, **რ. აჩკინამ** და **ბ. კულაკოვამ**.

კოსტაგორის მიდამოებში

ბაკურიანში დაიწყო საქართველოს პირველობის გათამაშება სათხილამურო სპორტში. გუშინ გაიმართა შეხვედრები გიგანტურ სლალომში, ორჭიდსა და ბიატლონში. გიგანტურ სლალომში გაიმარჯვეს: ქალთა შორის — **მ. თმაურმა**, ვაჟთა შორის — **ბ. ბაბიანმა**. ორჭიდში უძლიერესი იყო **შ. თმაური**, ბიატლონში — **ვ. კორნაროვი**.

ბოლო ინფორმაციები

ბოლო ინფორმაციები

ბეიბერ ბეიბერ

ბეიბერ ბეიბერ

ბეიბერ ბეიბერ